საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო აზრის, მძლავრი კოლექტიური გონებისა და გამოცდილების გამოხატულება იქნება

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ღირსეული შეხვედრა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას!

# კომუნისტი

1980 წელი კვირა 23 ნოემბერი № 269 (17912) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР


## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი

### რესპუბლიკის ყველა კომუნისტისა და მშრომელისადმი საქართველოს კომპარტიის მომავალ XXVI ყრილობასთან დაკავშირებით

ძვირფასო ამხანაგებო!

ლენინური პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი ეგებებიან უდიდეს ისტორიულ მოვლენას — სკკპ XXVI ყრილობას. ორი თვეღა დარჩა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამდე. ხვდებიან რა თავიანთ ყრილობას, საქართველოს კომუნისტები განუხრელად ხელმძღვანელობენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საპროგრამო მითითებებით, რომლებიც მან ჩამოაყალიბა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში, მკაფიოდ რომ განსაზღვრავს პარტიის ამოცანებს თანამედროვე ეტაპზე, ამახვილებს ყურადღებას ახლანდელი განვითარების უმთავრეს საკვანძო მომენტებზე.

ლენინური პარტია თავის სტრატეგიასა და ტაქტიკას ამუშავებს საზოგადოების განვითარების მოთხოვნილებების, საბჭოთა ადამიანების საჭიროებების, მოთხოვნებისა და სურვილების ზუსტი გათვალისწინების საფუძველზე, მშრომელთა ფართო მასების შემოქმედების მტკიცე საძირკველზე.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინს არაერთგზის აღუნიშნავს ხაზგასმით საზოგადოებრივი აზრისადმი მიმართვის არა მარტო დემოკრატიული, არამედ აგრეთვე მმართველობითი მნიშვნელობა. იგი გულისხმობდა, რომ პარტიის ხელმძღვანელ ორგანოს მხოლოდ ამ პირობის დაცვისას „შეეძლება ნამდვილად იცოდეს პარტიის წევრთა მთელი მასის შეგნებული აზრი და, მაშასადამე, შეეძლება უხელმძღვანელოს არა ბრმად, არამედ მასის მიერ საკითხის სრულ შეგნებაზე დაყრდნობით“.

ახლა, როცა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის სამზადისის გადამწყვეტი ფაზა დადგა, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკების, მეცნიერების, სპეციალისტების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეების სპეციალური ჯგუფები მუშაობენ წინადადებებსა და რეკომენდაციებზე, რომელთა საფუძველზე საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა შეიმუშავებს საქართველოს სსრ სოციალურ-პოლიტიკური ეკონომიკური და კულტურული პროგრესის კომპლექსურ პროგრამას მეთერთმეტე ხუთწლედისათვის. და ჩვენც ყოველმხრივ შემოწმებული, მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა მხოლოდ იმ შემთხვევაში გვექნება, თუ მასში კონკრეტულად აისახება რესპუბლიკის მოსახლეობის, მისი ყველა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი და ინტერესები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც კარგად ესმის ეს და განაგრძობს პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მშრომელთა ფართო მასებთან მუდმივი მოთათბირების სასიკეთო ტრადიციას, რესპუბლიკის ყველა მშრომელს, კომუნისტებსა და უპარტიოებს მოგმართავთ თხოვნით გამოთქვათ თქვენი სურვილები, გაამდიდროთ კონკრეტული, საქმიანი წინადადებებით ერთობლივი მუშაობის პროგრამა. დაე, საბჭოთა საქართველოს ყოველი მოქალაქე, რომლის სიცოცხლე განუყოფელია პარტიისა და ხალხის სიცოცხლის მაჯისცემისაგან, რომელიც ღვიძლად არის დაინტერესებული თავისი რესპუბლიკის შემდგომი პროგრესით, — ამ პროგრამის თანაავტორი გახდეს.

ეკონომიკა მთავარი პოლიტიკაა, როგორც ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა. უკანასკნელი წლების მანძილზე პარტიის ეკონომიკურ სტრატეგიაში მკვეთრად გამოიკვეთა ღრმა შემობრუნება იმ მრავალფეროვანი ამოცანების გადაწყვეტისაკენ, რომლებიც ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან არის დაკავშირებული.

როგორ წყვეტს პრაქტიკულად შემდგომ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებულ საკითხებს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია; რამდენად გეგმაზომიერად და ეფექტიანად იხვეწება სახელმწიფო მმართველობის მექანიზმი, გაძლიერდა თუ არა პარტიული ორგანიზაციების გავლენა ცხოვრების ყველა მხარეზე; რა საკითხებს, რა პრობლემებს უნდა მივაპყროთ, თქვენი აზრით, განსაკუთრებული ყურადღება მომავალ ხუთწლედში?

მეათე ხუთწლედის მანძილზე დიდი პოზიტიური სოციალური გარდაქმნები მოხდა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. რამდენად უნარიანად წარვმართავთ ჩვენ მიმდინარე საკითხებს; როგორ წყდება ჩვენში ქალაქისა და სოფლის სოციალური პრობლემები; რამდენად ეფექტიანად ვწყვეტთ ვაჭრობისა და ყოფა-ცხოვრების, მოსახლეობის კომუნალური, სამედიცინო, კულტურული მომსახურების გაუმჯობესების საკითხებს?

როგორ გგონიათ, ამ მუშაობის რა ფორმები და მეთოდებია წასახალისებელ-გასავრცელებ ე ლ ი, რას უნდა ვერიდოთ მეთერთმეტე ხუთწლედში?

პარტია თავისი საქმიანობის ქვაკუთხედად მუდამ აყენებს სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივი განვითარების, შინაპარტიული დემოკრატიის სრულყოფის საკითხებს. ისინი ფართო კონტექსტით მოიცავენ ისეთ პრობლემებს, როგორიც არის მოსახლეობის უზრუნველყოფა სრული, უტყუარი ინფორმაციით, კრიტიკისა და თვითკრიტიკის შემდგომი განვითარება, სახელმწიფო ორგანოების საქმიანობისადმი საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერება, პროფესიული კავშირების, კომკავშირის, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის გაზრდა მართვაში; ჩვენი ორგანოების მუშაობაში ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების, ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურება.

დემოკრატიის განვითარების პრობლემებს განუყრელად უკავშირდება საზოგადოების მართვა-გამგეობაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმის, შეგნებული დისციპლინის, წესრიგის განმტკიცების, ორგანიზებულობის უზრუნველყოფის საკითხები, შეურიგებელი ბრძოლა ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების, საბჭოთა ცხოვრების წესის ანტიპოდების წინააღმდეგ.

როგორ წყდება ყველა ეს საკითხი თქვენს კოლექტივებში, რამდენად ეფექტიანად მუშაობენ ამ მიმართულებით პარტიული ორგანიზაციები, სახალხო დეპუტატთა სასოფლო, სადაბო, რაიონული და საქალაქო საბჭოები, რა გიშლით ხელს მუშაობაში, კონკრეტულად რა მიგაჩნიათ იმ ღონისძიებებად, რომლებიც დაგვეხმარება ჩვენი სინამდვილიდან ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრაში, ნეგატიური მოვლენების საბოლოო აღკვეთაში?

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს აინტერესებს, როგორ ეკიდებით თქვენ, როგორ აფასებთ უშუალოდ მის საქმიანობას ყველა მიმართულებით, რა გზებს შემოგვთავაზებთ მუშაობის სრულყოფისათვის. ჩვენ ღვიძლად ვართ დაინტერესებული იმით, რომ უკეთ ვიცოდეთ, მუშაობის რა ახალი ფორმები და მეთოდები ჩნდება პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, შრომითს კოლექტივებში, რა გამოცდილებაა შეძენილი, როგორ წყვეტს თითოეული მშრომელი თავის სამუშაო ადგილზე საჭირბოროტო საკითხებს, რა ეხმარება მას ახლის შენებაში და რა უშლის ხელს მუშაობასა თუ ყოფა-ცხოვრებაში.

ცხოვრება ყოველდღე, ყოველ საათს წარმოშობს ბევრ სხვა საკითხსა და პრობლემას. ცენტრალური კომიტეტისათვის მათი გაზიარებით მშრომლები, კომუნისტები და უპარტიოები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, საწარმოო ბრიგადებისა და რგოლების კოლექტივები უდიდეს სარგებლობას მოუტანდნენ საქმეს.

ყოველივე ეს სწორუპოვარ წვლილს შემატებდა რესპუბლიკის კომუნისტთა ფორუმის მუშაობას, გადააქცევდა ჩვენი საერთო საბრძოლო მზადყოფნის დათვალიერებას — საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას ჭეშმარიტად საყოველთაო სახალხო აზრის, მძლავრი კოლექტიური გონებისა და გამოცდილების გამოხატულებად.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი**

ორი თვეც და აქ, დედაქალაქის სახელმწიფო ფილარმონიის შენობაში, მუშაობას შეუდგება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა.



## დიდი გამარჯვება

ბალტიის საზღვაო სანაოსნოს [illegible] ნავსადგურის მუშებს, [illegible] ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს

ძვირფასო ამხანაგებო!

[illegible]

...ლებლად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ სანაოსნოს კოლექტივი კვლავაც შეუპოვრად იმუშავებს, რათა დააკმაყოფილოს ქვეყნის მოთხოვნილება სახალხო-სამეურნეო და საგარეო-სავაჭრო ტვირთის გადაზიდვაზე.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, შემდგომ შრომითს მიღწევებს, ბედნიერ ნაოსნობას, ჯანმრთელობასა და პირად ბედნიერებას.

ლ. ბრეჟნევი.

## ვამრავლოთ შრომითი მიღწევები

### საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს მოწინავე შრომითი კოლექტივების მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს მეათე ხუთწლედის დავალებანი

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმებიან და გულითადად ულოცავენ რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტროს მოწინავე შრომითი კოლექტივების ყველა მუშაკს დიდ გამარჯვებას, მეათე ხუთწლედის დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებას.

საჭიხარულოა, რომ დარგის 25-ზე მეტმა კოლექტივმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება, უკვე უპატაკა სამშობლოს მეათე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულება ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით. სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში არიან მოწინავე კოლექტივები: გაერთიანება „თბილისკონდიტერი“, ქუთაისის პურკომბინატი, მინის ქარხანა და ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების კომბინატი, თბილისის მაკარონის ფაბრიკა და საფუვრის ქარხანა, აფხაზეთისა და აჭარის საკონსერვო კომბინატები, ქუთაისის საკონსერვო მრეწველობის საწარმოო-აგრარული გაერთიანება, მარნეულის, მცხეთის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, ბოლნისის საკონსერვო ქარხნები და სხვები, აგრეთვე 60-ზე მეტი საამქროსა და უბნის კოლექტივები, 1300-ზე მეტი მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე, რომლებიც მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში შრომობენ.

საგულისხმოა, რომ ამას მიაღწიეს რენტაბელობის, ფონდუკუგების, წარმოების ენერგეტიკული და მექანიკური შეიარაღების გადიდების, შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით.

მეთერთმეტე ხუთწლედში ჩვენი რესპუბლიკისათვის ამ ფრიად მნიშვნელოვანი დარგის საწარმოთა პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, სამეურნეო ხელმძღვანელებმა, ყველა მშრომელმა მთავარი ყურადღება უნდა დაუთმონ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის შემდგომ ამაღლებას, დამატებითი რეზერვების გამოძებნას, ფართო სასურსათო პროგრამის შემუშავებას მოსახლეობის მოთხოვნების სრული და დროული დაკმაყოფილებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს შრომითი კოლექტივების მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები არ დაიშურებენ ძალ-ღონეს და ენერგიას, რათა ამრავლონ შრომითი მიღწევები სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი,**
**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო,**
**საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო,**
**საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი.**

## რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოში

21 ნოემბერს რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოში გაიმართა სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამხარეო და საოლქო აღმასკომების თავმჯდომარეების, სკკპ საოლქო და სამხარეო კომიტეტების მდივნების, აგრეთვე ცალკეული გაერთიანებებისა და საწარმოების ხელმძღვანელთა თათბირი, რომელიც მიეძღვნა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებათა მიხედვით.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო 1981–1985 წლებში და 1990 წლამდე პერიოდისათვის სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების განვითარების გრძელვადიანი პროგრამის მომზადების საკითხებს.

თათბირზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. სოლომენცევი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე თ. ი. მოჩალინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები. (საქინფორმი).

## ვიეტნამის ორდენი — აკადემიას

21 ნოემბერს ვიეტნამის მეგობრობის ორდენი გადაეცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას. ჯილდოს გადაცემისას, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში ნგუენ ჰიუ მაიმ გულითადად მიულოცა აკადემიას მაღალი ჯილდო, რომელიც მას მიენიჭა სამეცნიერო კადრების მომზადებასა და ქვეყნის მეცნიერების განვითარებაში ვიეტნამელი ხალხისადმი აქტიური დახმარებისათვის.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ა. პ. ალექსანდროვმა, რომელმაც ჯილდო მიიღო, მადლობა უძღვნა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობას საბჭოთა მეცნიერების შრომის მაღალი შეფასებისათვის. (საქინფორმი).

## სამოცი გმირული წელი

ერევანში გაიმართა სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და სომხეთის კომპარტიის დაარსების მე-60 წლისთავს. იგი მოაწყო სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პარტიის ისტორიის ინსტიტუტებთან ერთად.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. ლ. დალაქიანმა. იგი მიესალმა მოსკოვის, ბაქოსა და თბილისის მეცნიერებს, პარტიისა და რევოლუციური მოძრაობის ვეტერანებს, უსურვა მათ წარმატებით მუშაობა.

მოხსენება „კომუნისტური პარტია — ახალი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის ფორმირებისა და განვითარების ხელმძღვანელი“ გააკეთა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორის პირველმა მოადგილემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა პ. ა. როდიონოვმა.

სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა გ. რ. სიმონიანმა წაიკითხა ლექცია თემაზე „სომხეთის კომპარტია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლი რაზმი“. საბჭოთა სომხეთის მშრომელები დიდი აღმავლობით ემზადებიან თავიანთი ეროვნული დღესასწაულის შეხვედრისათვის, თქვა მან. ჭეშმარიტად გრანდიოზულია სომეხი ხალხის მონაპოვრები საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

მოხსენება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია — პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ბაირახტარი“ გააკეთა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა დ. გ. სტურუამ.

ბაქოს უმაღლესი პარტიული სკოლის სკკპ ისტორიის კათედრის გამგემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა მ. ა. კაზიევმა გააკეთა მოხსენება „ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მარად ცოცხალი ტრადიციები“.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა კავშირის მარშლის, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის ი. ქ. ბაგრამიანის გამოსვლას.

(საქინფორმი — არმენპრესი).

თბილისის „ელექტროაპარატის“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა საგრძნობ წარმატებას მიაღწია მასალებისა და სათბობის ეკონომიკურად ხარჯვის საქმეში. ტექნოლოგიური პროცესების დახვეწისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის შედეგად ხუთწლედის განვლილ პერიოდში აქ 1100 ტონაზე გაცილებით მეტი შავი და 135 ტონა ფერადი ლითონი დაიზოგა. მეტად საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ელექტრიკოსებმა ამ ხნის განმავლობაში გათვალისწინებულზე 3.476 ათასი კილოვატსაათით ნაკლები ელექტროენერგია დახარჯეს. ისიც აღსანიშნავია, რომ დაზოგილი მასალებით 1976 წლის დასაწყისიდან დღემდე გაერთიანებამ 3 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

## ხუთწლედი — ვადაზე ადრე!

### დამკვრელურ ვახტზე

[illegible]

„ელექტროაპარატის“ კოლექტივი, რომელმაც კარგა ხანია მიაღწია ხუთწლედის ბოლოსათვის დაგეგმილი წარმოების მოცულობის ზრდის ტემპს, ღირსეულ შეხვედრას უმზადებს სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას. („კომ“. კორ.).

### მაღაროელთა ნობათი

ჭიათურა. (საკ. კორ.). დიმიტროვის სახელობის მაღაროთსამმართველოს კოლექტივმა შეასრულა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ხუთწლიანი გეგმა. სახალხო მეურნეობამ 2.357 ტონაზე მეტი მანგანუმის კონცენტრატი მიიღო. ახლა სამთოელები იმისათვის იბრძვიან, რომ წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით 124.800 ტონა სასაქონლო პროდუქცია დაამზადონ.

ხუთწლედი ვადამდე დაამთავრეს იმ საწარმოო უბნების კოლექტივებმა, რომლებსაც ზ. იაკობიძე, ა. გოდერძიშვილი, ბ. ბურჯანაძე, შ. აბჟანდაძე და რ. ყაველაშვილი ხელმძღვანელობენ.

### სამი მილიონი მანეთის პროდუქცია

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმის სამკერვალო გაერთიანების კოლექტივმა 7 ოქტომბრისათვის შეასრულა ხუთწლედის გეგმა ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით. აქაურ მკერავთა ნახელავი მოსწონს მომხმარებელს. გაერთიანების ნაწარმი ჩვენი ქვეყნის ოთხმოცამდე სავაჭრო ცენტრს ეგზავნება.

სამკერვალო გაერთიანების კოლექტივი მიღწეულს როდი სჯერდება. მან გადაწყვიტა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით 3 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვას.


დღეს ნომერში:

II გვ. ● დიმიტროველთა გამოცდილება: შრომითი, იდეური და ზნეობრივი აღზრდის ერთიანობა.
● შორაპანი: მშენებლებმა სიტყვა გატეხეს. ელექტროელემენტების ქარხნის რეკონსტრუქცია ჭიანურდება.
● დედამიწის ზურგზე. საერთაშორისო ცხოვრება.

III გვ. საკვირაო საკითხავი
● რუსული გული. წიგნი მეორე
შენც, ძმობის წიგნო, როგორიც იშვი,
მნადია, ენთო ჟამთასვლის მერეც,
რადგან ეს ძმობა — ოქტომბრის პირმშო,
აერთიანებს გულებს და ერებს.

IV გვ. ● ეს საინტერესოა




პროპაგანდისტი — ხუთწლედს!

# დადებითი მაგალითის ძალა

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კომუნისტებმა ახლახან შეაჯამეს თავიანთი მუშაობის შედეგები. პარტიულ ორგანიზაციას ანგარიში ჩააბარა იდეოლოგიურმა აქტივმაც, რომლის მთელი მეცადინეობა მიზნად ისახავდა საწარმოო გეგმების შესრულების, ახალი პროდუქციის ხარისხოვანი გამოშვების იდეოლოგიურ უზრუნველყოფას. ამასთან ჩვენ იდეურ-აღმზრდელობით მუშაობას საფუძვლად ედო უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტები.

პროპაგანდისტის, ლექტორის, პოლიტინფორმატორის თუ აგიტატორის სიტყვა აღაფრთოვანებდა ადამიანებს პარტიის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, აგრძნობინებდა მათ მათივე თავდადებული, პატრიოტული შრომის მნიშვნელობას, განსაკუთრებით ახალი პროდუქციის გამოშვების დარგში. სულ უფრო მრავალფეროვანი ხდებოდა იდეოლოგიური ზემოქმედების ფორმები.

ქარხანაში უკვე დიდი ხანია პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სტაბილური სისტემა ჩამოყალიბდა. მიმდინარე სასწავლო წელს შექმნილია და მუშაობს 200-ზე მეტი პარტიული სწავლების კომკავშირული პოლიტგანათლებისა და ეკონომიკური განათლების სკოლა და სემინარი.

ამ სკოლებისა და სემინარების მუშაობის ხელმძღვანელობა, პროპაგანდისტებისა და მსმენელებისათვის ქმედითი დახმარების გაწევა პრაქტიკულად არც ისე იოლი საქმეა. ეს დიდ კვალიფიკაციას და ცოდნას მოითხოვს ყველა პროპაგანდისტისაგან. ჩვენთან, ქარხანაში მეცადინეობას ატარებს ხოლმე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ს. ხაბეიშვილი. ეს ჩვენთვის კარგი სკოლაა, რომელსაც ბევრი სარგებლობა მოაქვს ქარხნის პროპაგანდისტებისათვის. ის ნოვატორული პრაქტიკა, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და ცენტრალური კომიტეტის მდივნები მეცადინეობას ატარებენ შრომითი კოლექტივების პარტიული სწავლების სისტემაში, უაღრესად სწორად მიგვაჩნია. ეს მსმენელებს შრომით ენთუზიაზმს უნერგავს.

პარტიული სწავლების, მშრომელთა ეკონომიკური განათლების, კომკავშირული პოლიტგანათლების მთელ სისტემას ხომ უწინარესად ის მოეთხოვება, რომ აქტიურად ჩააბას ჩვენი მსმენელები წარმოების მართვის საქმეში, დააინტერესოს ისინი წარმოების ბედით, ე. ი. მიღებულ თეორიულ ცოდნას უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს პრაქტიკულ საქმეებთან.

ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა მოძრაობის — „პროპაგანდისტი — ხუთწლედს“ განვითარება. სწორედ ამ მოძრაობის ფარგლებში ფართოდ დამკვიდრდა, რომ მსმენელებს შემოაქვთ რაციონალიზატორული წინადადებები, მონაწილეობენ სხვადასხვა პატრიოტულ მოძრაობასა და თაოსნობაში. საკმარისია ითქვას, რომ „პროპაგანდისტი — ხუთწლედს“ მოძრაობის ფარგლებში რაციონალიზატორულ მუშაობაში მონაწილეობის ეკონომიკური ეფექტი საანგარიშო პერიოდში 120 ათას მანეთს შეადგენს. ჩემი ჯგუფის მსმენელებიდან თავი გამოიჩინეს ა. გრიგორიანმა, პ. ორლოვმა და თ. ჩიმაკაძემ, რომლებმაც ქარხანას 5 ათასი მანეთი დაუზოგეს. ათასობით მანეთი დაზოგეს პროპაგანდისტების ნ. გურამიშვილის, ზ. ხვედელიანის, ტ. კუტელიას მსმენელებმა გ. გორიჯიანმა, ო. თადუმაძემ და კ. ხუციშვილმა.

სამწუხაროდ, ყველგან ასე როდია. ბევრი პროპაგანდისტი, რომელიც მოუცლელობას იმიზეზებს, ნაკლებად იცნობს მსმენელებს, არ მუშაობს თავისი თეორიული ცოდნის გამდიდრებისა და მეთოდოლოგიური ოსტატობის დახვეწისათვის, ხშირად აცდენს მეცადინეობას, არ სარგებლობს დამატებითი ლიტერატურით. ეკონომიკური განათლების პროპაგანდისტები ჯერ კიდევ ნაკლებად იყენებენ სწავლების ისეთ ეფექტიან ფორმას, როგორიც არის პრაქტიკული მეცადინეობა. ყოველივე ეს, ცხადია, ამცირებს სწავლების ეფექტიანობას და ჯეროვან გავლენას ველარ ახდენს თითოეულ სამუშაო ადგილას უკუგების გადიდებაზე.

ახალი პროდუქციის გამოშვების საქმეში დასახულმა დიდმა ამოცანებმა შთაგვაგონა მკვეთრად გავაუმჯობესოთ ზეპირი პოლიტიკური აგიტაცია, თანაც მივანიჭოთ მას ინდივიდუალური მიმართულება. ახალი ადამიანისათვის ბრძოლა რთული პროცესია, რომლის სრულყოფისათვის უნდა ავამოქმედოთ მრავალი ფაქტორი, რომელთა თაობაზე ძალზე მკაფიოდ არის ლაპარაკი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შესანიშნავ წიგნებში „მცირე მიწაში“, „აღორძინებასა“ და „ყამირში“, ამ საკითხებზე ფართოდ იყო საუბარი „ლიტერატურნაია გაზეტაში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში ამხანაგ ე. ა. შევარდნაძესთან. უდავოა, რომ ამ ბრძოლაში ჩვენთვის წინა პლანზეა წამოწეული მშრომელთა აღზრდის ამოცანები.

კომუნისტური შრომისათვის გაშლილი ფართო მოძრაობა, ქარხანაში მომუშავე, 4.700 კომუნისტური შრომის დამკვრელი — ეს მშვენიერი დასტურია იმისა, თუ რაოდენ ქმედითი და ეფექტიანია აღმზრდელობითი მუშაობა. მაგრამ ამასთანავე შრომის დისციპლინის დარღვევის მცირე ფაქტებმაც კი არ შეიძლება არ შეგვაწუხოს, გულგრილი დაგვტოვოს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში სუსტად ვიყენებთ ისეთ ფორმებს, როგორიც არის მოწინავე გამოცდილების განზოგადება, შრომითი გმირობის ახალი მკაფიო მაგალითების ძიება. ხშირად მუშაობაში უკვე მოძველებულ ფაქტებს მივმართავთ. შეიძლება ვთქვა, რომ ძალზე ხშირად მხოლოდ უკვე კარგად ცნობილი ძველი მოწინავე მუშების გამოცდილებას ვაზოგადებთ, სამაგალითოდ მოგვყავს მხოლოდ მათი მიღწევები, თვალყურს ვადევნებთ მათ წარმატებებს, მაგრამ ვერ ვამჩნევთ რომ გვერდით უკვე აღიზარდნენ ასეთივე საუკეთესო მუშები, რომლებსაც ასევე შესანიშნავი შრომითი მაჩვენებლები აქვთ. მაგალითად, დღეს ქარხანაში ყველა იცნობს, სახელოვან მუშებს, ზეინკალ ი. ურიადმყოფელს, ელექტრომემონტაჟე ზ. ლომიძეს, ამწყობ ზ. ლოლაძეს, ოპერატორ ა. აშიროვს, ხარატ დ. ხუციშვილს, რომლებიც ახლა საუკეთესო სპეციალისტები არიან, საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულის სამკერდე ნიშანს ატარებენ.

ეს ადამიანები დღეს თამამად გაწევენ დამრიგებლის უღელს, რადგან შესანიშნავი მუშების მაგალითზე აღიზარდნენ. მათი მასწავლებლები იყვნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტ. როსტიაშვილი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი შ. ლოხიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თ. ბარიგინი და სხვები. ძალზე საჭიროა, რომ მათი გამოცდილება ცნობილი გახდეს ამხანაგებისათვის.

ზოგი რამ უნდა ვთქვათ დამრიგებლობის მოძრაობაზე. ეს, რა თქმა უნდა, შრომითი აღზრდის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი და საუკეთესო ფორმაა, და დღეს ვცდილობთ მივაღწიოთ იმას, რომ ქარხნის ყოველი დამრიგებელი ოპერატიულად ეცნობოდეს რაიონის, ქალაქის, რესპუბლიკისა თუ მთელი ჩვენი ქვეყნის საუკეთესო დამრიგებელთა გამოცდილებას. ჩვენ უკეთ ვიყენებთ ახალგაზრდობასთან, ჩვენ მომავალ ცვლასთან მუშაობაში ქარხნის მუზეუმს, ვაახლებთ მის ექსპოზიციას, ჩვენი შრომითი დიდების მუზეუმის მეშვეობით პროპაგანდას ვუწევთ დიმიტროველთა შრომითს და საბრძოლო ტრადიციებს. ამ მუშაობაში ჩვენთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ზნეობრივი, პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის ფაქტორი. დღეს ხომ ქარხანაში 25-ზე მეტი ეროვნების ადამიანი შრომობს, შრომობს ერთსულოვნად და დამკვრელურად!

მშვენიერი ინტერნაციონალური ტრადიციები განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენი ქარხნისთვის და მათ კვლავაც განვავითარებთ. უკანასკნელ ხანს ინტერნაციონალური აღზრდისათვის მუშაობა განსაკუთრებით გავააქტიურეთ ღირსშესანიშნავი თარიღის — გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავთან დაკავშირებით. ჩვენთვის ინტერნაციონალიზმის თემა განსაკუთრებით ძვირფასია იმით, რომ ომის მძიმე წლებში საქართველომ რუსეთის გულიდან მიიღო ჩვენი ქარხანა, ძვირფასია იმიტომ, რომ ჩვენი მიკრორაიონის მთავარი არტერია რუსეთის დიადი ქალაქის, ჩვენი სამშობლოს მშვენიერი დედაქალაქის სახელს ატარებს.

ჩვენ, დიმიტროველები, დიდ მადლობას ვუძღვნით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას იმისათვის, რომ დიდი რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის, ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხის ურთიერთობაში დამკვიდრებულმა დიდებულმა ინტერნაციონალურმა ტრადიციებმა ხორცი შეისხა „ხალხთა მეგობრობის“ მუზეუმის ექსპოზიციებში. და ჩვენ გვსურს „ხალხთა მეგობრობის“ მუზეუმს შევთავაზოთ, რომ ჩვენს საქარხნო მუზეუმში შევქმნათ ერთობლივი ექსპოზიცია. ჩვენი აზრით, ეს ძალზე საინტერესო იქნება, იგი ასახავს დიმიტროველთა დიდ ინტერნაციონალურ პატრიოტიზმს.

ჩვენი მშრომელების ზნეობრივი აღზრდის პრობლემები უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია, რომლებიც გავლენას ახდენს დიმიტროველთა შრომითს წარმატებებზე, ამაღლებულ მორალურ-ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს ქმნის საამქროებში, შრომით კოლექტივებში, რაც განსაკუთრებულ გაქანებას ანიჭებს სოციალისტურ შეჯიბრებას და შთააგონებს ჩვენს მუშაკებს თავდადებულ შრომას.

ჩვენში შემცირდა ნეგატიური ელფერის მაჩვენებლები, მიკრორაიონში იშვიათია დანაშაულობანი, ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა, აღარავის ეშინია ეზოში ავტომანქანის დატოვება, ხალხი ნაკლებად უამბობს ერთმანეთს „შემზარავ ამბებს“. ეს იმის შედეგია, რომ ქალაქში გაუმჯობესდა საერთო ვითარება. ჩვენი პრესა და ტელევიზია მეტ ყურადღებას უთმობენ ნეგატიური მოვლენების ცალკეული რეციდივების ფართო, საჯარო განხილვას. დიმიტროველები ყოველთვის დიდი ინტერესით ელიან ჩვენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პრინციპულ მიდგომას საჭირბოროტო საკითხებისადმი, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლისადმი.

ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ საწარმოს ყველა უბანზე ვიბრძვით, ამ ბრძოლას სათავეში უდგანან წესრიგის დაცვის და სამართალდარღვევის პროფილაქტიკის საბჭოები, სახალხო რაზმეულები, და სახალხო კონტროლის კომიტეტი. საამქროებში და უბნებზე მოქმედებენ სახალხო სასამართლოები, ქარხნის სავაჭრო გაერთიანებაში ნეგატიურ მოვლენებს ებრძვის საკოორდინაციო კომისია და ა. შ. კონტროლის მთელი ეს სისტემა მეტად ეფექტიანია და ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ქარხნის არც ერთ მუშას არ დაურღვევია მართლწესრიგი, არ ყოფილა სახალხო ქონების დატაცების არც ერთი ფაქტი.

ჩვენ ვეცდებით, რომ ეს ბრძოლა არ შევასუსტოთ, დღითიდღე გავაძლიეროთ იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომლებსაც შეიცავს პარტიის საქარხნო რაიკომის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება.

ახალი ადამიანის ჩამოყალიბებისათვის ბრძოლა იყო, არის და მუდამ იქნება მთელი ჩვენი აღმზრდელობითი მუშაობის ღერძი. ეს მიგვაჩნია ჩვენი მშრომელების შეგნების ზრდის, ჩვენი ქარხნის ზრდის, მისი პერსპექტივის საწინდრად.

**ს. საგიევი,**
**თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მთავარი ენერგეტიკოსის მოადგილე, პარტიული განათლების სისტემის მეთოდიკური საბჭოს თავმჯდომარე.**

# ჯილდოები საუკეთესო პროპაგანდისტებს

დაეუფლონ საჭირო ეკონომიკურ ცოდნას — ალბათ დღეს არ მოიპოვება სახალხო მეურნეობის ისეთი დარგი, რომლის მუშაკთა წინაშე არ იდგეს ეს დიდმნიშვნელოვანი ამოცანა. მისი ყველაზე ეფექტიანი გადაწყვეტის გზებს მიეძღვნა საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი საწარმოო სამმართველოს მუშაკთა ეკონომიკური განათლების სისტემის პროპაგანდისტების ორდღიანი ზონალური თათბირ-სემინარი. სემინარზე განიხილეს „საქმთავარენერგოს“ მშრომელების მიერ მეათე ხუთწლედის გეგმების შესრულების შედეგები, ისეთი საკითხები, როგორიც არის სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსშესანიშნავი შეჯიბრების ორგანიზაცია, ეკონომიკური სწავლების ქმედითობის ამაღლება, პროპაგანდისტთა საქმიანობის სრულყოფა.

მშრომელთა ეკონომიკური სწავლების საუკეთესო ორგანიზაციისათვის ხრამის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის კოლექტივს გადაეცა სამმართველოს კოლეგიის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ხარისხის დიპლომი. „საქმთავარენერგოს“ ათი პროპაგანდისტი დაჯილდოვდა საპატიო სიგელებითა და ფულადი პრემიებით.

— ყოველწლიური ზონალური თათბირ-სემინარები ჩვენთან ტრადიცია გახდა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს „საქმთავარენერგოს“ უფროსის მოადგილემ, სამმართველოს ეკონომიკური განათლების საბჭოს თავმჯდომარემ დ. ბაკურაძემ, — ისინი ხელს უწყობენ პროპაგანდისტთა მუშაობის მოწინავე გამოცდილების გავრცელებას, მშრომელთა ეკონომიკური განათლების დონის ამაღლებას.

# სწავლობენ პლენუმისა და სესიის მასალებს

საჩხერის რაიონის სოფელ ორღულის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის პირველადს პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელი წრის მორიგი მეცადინეობა მიეძღვნა თემას „მეათე ხუთწლედის შედეგები და კოლმეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1981 წლის პროგრამა“. მეცადინეობას უძღვებოდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე პროპაგანდისტი გ. იაკობაშვილი.

მეცადინეობაზე გამოსულმა ამხანაგებმა ყურადღება მიაპყრეს კოლმეურნეობის მშრომელების, მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის, ყველა კომუნისტის აქტუალურ ამოცანებს მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლისათვის.

მეცადინეობის შედეგების შეჯამებისას მსმენელებმა ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ კოლმეურნეობის მშრომელებმა ფართოდ უნდა გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

საჩხერის რაიონის სოფელ სავანის კოლმეურნეობის პარტბიურომ გამართა პროპაგანდისტთა და აგიტატორთა თათბირი, რომელზეც დაწვრილებით ილაპარაკეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის მასალების განხმარტავად მიმდინარე მუშაობის სრულყოფის შესახებ.

კოლმეურნეობის ბრიგადებში, რგოლებში, მეცხოველეობის ფერმებში ეწყობა საუბრები მეათე ხუთწლედის შედეგებისა და მეურნეობის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის გეგმის შესახებ. გულდასმით ემზადებიან მსმენელებთან საუბრებისათვის აგიტატორები ნ. ყომლაძე, ნ. მეცხოვრიშვილი, ც. კურცხალია, თ. გაბაძე და სხვები. პროპაგანდისტთა წინადადებით ბრიგადების მშრომელები გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის აღსანიშნავად.

(საქინფორმი).



# დიდების მატიანეში

თბილისის სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების წარმატებაში ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს ახალგაზრდობას. განსაკუთრებით გამოირჩევა თავი ნადეჟდა კურჩენკოს სახელობის ბრიგადამ, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. რაზმაძე ხელმძღვანელობს. ეს პატარა კოლექტივი საკავშირო ლენინური კომკავშირის დიდების მატიანეშია შეტანილი.

სურათზე: (მარცხნიდან): ბრიგადის წევრები ზ. მორსესიანი, ლ. რაზმაძე, მ. ყვავილაშვილი, ც. ბედოშვილი და ა. ცერცვაძე.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

## სუსხიანი სტრიქონები

# თვითდამშვიდებას მიეცნენ

მკითხველებმა უკვე იციან ზესტაფონელ მშენებელ-მემონტაჟეთა ახალი გამარჯვების ამბავი. ფეროშენადნობთა ქარხნის ახალი, მეხუთე სადნობი საამქროს ზემძლავრმა ღუმელმა ამ დღეებში პირველი ლითონი გამოუშვა, წლის ბოლომდე კიდევ ერთი ასეთი ღუმელი ჩადგება მწყობრში.

ამ სასიხარულო ფაქტის გამო ბევრი საქებარი სიტყვა ითქვა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 8 სამშენებლო ტრესტის, მრავალრიცხოვანი ქვემოიჯარადრე სამონტაჟო ორგანიზაციების მისამართით. ჩვენც ვულოცავთ ამ გამარჯვებას, მაგრამ ერთი საქმე რომ გააკეთო და მეორე ჩააგდო, ამას არავინ გაპატიებს.

სწორედ ასე მოუვიდათ № 8 ტრესტის მესვეურებს და დამსახურებულ ქებასთან ერთად საყვედურიც იწვნიეს. დასანანია, რომ დიდი მასშტაბის სამშენებლო ფრონტზე გართულებამ, სრულიად უყურადღებოდ მიატოვეს შორაპნის ელექტროელემენტების ქარხნის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, თუმცა ეს საქმეც დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა.

ქარხნის რეკონსტრუქცია ითვალისწინებს მთავარ კორპუსზე 5.470 კვადრატული მეტრი საწარმოო ფართობის მიშენებას, აგლომერატის ახალი კორპუსის მშენებლობას, ქარხანაში მიკროკლიმატის შექმნას კონდიციონერების საშუალებით, იმ ვარაუდით, რომ ტემპერატურა წლის ყოველ დროს 18–25 გრადუსი იყოს. ეს უზრუნველყოფს ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვას. ამასთან ახალ საწარმოო ფართობზე გამართული მანქანა-დანადგარები წლიურად 4.700 ათასი მანეთით გაზრდის პროდუქციის გამოშვებას.

სარეკონსტრუქციო პროგრამა მართლაც დიდებულია, თუმცა, მთლიანად მისი განხორციელებისათვის არცთუ ისე დიდი თანხა — 470 ათასი მანეთი არის ასათვისებელი. აი, ამიტომ არიან გასაკიცხი მშენებლები. ეს საქმე რომ თავიდანვე გულთან მიეტანათ, ასეთი სამარცხვინო მდგომარეობა არ შეიქმნებოდა. სხვაგვარად ვერც გამოხატავ ამ აზრს. წლის დასაწყისიდან ამ ობიექტზე მხოლოდ 70 ათასი მანეთია ათვისებული და აქედანაც დიდი ნაწილი მექანიზაციის სამმართველოს წილად მოდის მიწის სამუშაოების შესრულებაზე.

16 ოქტომბერს ობიექტზე ათიოდე კაცი და ერთი ამწე მუშაობდა. აპრილის შუა რიცხვებში წამოწყებული საქმე ახლა განაახლეს. რამდენიმე დღეა დაიწყო აგლომერატის საამქროს კორპუსის კოლონების დამონტაჟება. ეს არის და ეს.

ვესაუბრეთ № 8 სამშენებლო ტრესტის მეხუთე სამშენებლო სამმართველოს მთავარ ინჟინერს გ. გოგატიშვილს. აი, რა თქვა მან:

— მართალია, მშენებლობა აპრილში დავიწყეთ, მაგრამ ქუთაისის რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ქარხანამ განრიგით გათვალისწინებულ ვადებში არ მოგვაწოდა საჭირო კონსტრუქციები და საქმეც შეფერხდა. უფრო მეტიც. გადასახურავი ფილები მთლიანად დღესაც არ მიგვიღია. თუმცა ივლისში უნდა შემოგვეტანა. ჯერჯერობით სრულიად არ გაგვაჩნია მთავარ კორპუსზე მისაშენებელი კონსტრუქციები.

— მშენებლობის დამთავრებას როდისთვის აპირებთ?

— წლის დამლევისათვის. ასეთი პირობა მივეცით რესპუბლიკის ხელმძღვანელობას...

ამას რომ ამბობდა ახალგაზრდა ინჟინერი თავს უხერხულად გრძნობდა. ცხადია, დარჩენილ 2,5 თვეში 440 ათასი მანეთის სამუშაოების შესრულება მართლაც საეჭვოა, და სიტყვის გატეხისათვის პასუხისმგებლობაც ალბათ არ ასცდებათ.

გასულ წლებში გამართულად მომუშავე საწარმოს უჭირს. ხუთწლედის ფინიშის სწორზე ქარხნის ხელმძღვანელობა გეგმის კორექტირებას ცდილობს. მიაღწიეს კიდეც — 9 თვის საწარმოო დავალებიდან 600 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვება მეოთხე კვარტალში გადმოუტანა სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრომ. ალბათ, იმ ვარაუდით, რომ სარეკონსტრუქციო სამუშაოების დამთავრებით აანაზღაურებდნენ დანაკლისს, მაგრამ ამის იმედათ დადგომა თავის მოტყუება არ არის?

გაქექილს გატეხილი სჯობსო. პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ საწარმო ვერ გაანაღდებს მიმდინარე წლის პროგრამას და ხელს შეუშლის საერთო საქმეს.

ეს მწარე გაკვეთილი უნდა გაითვალისწინონ მშენებლებმაც და საწარმოს ხელმძღვანელებმაც, მაქსიმალურად უნდა დაძაბონ ძალები ქარხნის რეკონსტრუქციის დამთავრებისათვის. სხვაგვარად ღირსეულად ვერ შეხვდებიან პარტიის მომავალ დიდ ფორუმს და საბჭოთა საქართველოს საიუბილეო თარიღს.

თითქოს აქ უნდა დაგვესვა წერტილი მეელემენტეებისადმი მშენებელთა უყურადღებობისათვის, მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ საწარმოს მუშამოსამსახურეთა შვილებისათვის (აქ კი შვიდასამდე ქალი შრომობს) გათვალისწინებული ბაგა-ბაღი, რომელიც მესამე კვარტალში უნდა დამთავრებულიყო, დღეისათვის საძირკველს არ ასცილებია. არც ქუთაისის სახლსაშენებელ კომბინატს შეუწუხებია თავი 50-ბინიანი სახლის მშენებლობისთვის და გამოყოფილი 300 ათასი მანეთი მკვდარ კაპიტალად ძევს ბანკში.

— დაგვაცადეთო, ყველაფერს მოვასწრებთო, — ამბობენ მშენებლები.

მაგრამ დრო და საქმე არ იცდის.

**ო. ნიქაბაძე,**
„კომუნისტის“ „საკ. კორ.

საერთაშორისო ცხოვრება

# დღეღამის ფურცელი

საკდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

## მადრიდის შეხვედრაზე

მადრიდი, 22 ნოემბერი. ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე 35 სახელმწიფოს წარმომადგენელთა მადრიდის დახურულ პლენარულ სხდომაზე გუშინ განიხილეს „მეორე კალათის“ საკითხები, რომლებიც ეხება იმ ქვეყნების ეკონომიკურ და სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობას, რომლებმაც ხელი მოაწერეს ჰელსინკის საბოლოო აქტს.

საკდესის კორესპონდენტებმა მიმართეს საბჭოთა დელეგაციის იმ წევრებს, რომლებიც აღნიშნული დარგის სპეციალისტები არიან, და სთხოვეს თავიანთი აზრი გამოეთქვათ დისკუსიის მსვლელობის შესახებ.

ეკონომიკური, სამეცნიერო და ტექნიკური თანამშრომლობა, — თქვა საბჭოთა წარმომადგენელმა ე. მედვედევმა, — სრულიად ევროპის თათბირის საბოლოო აქტის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ნაწილია. საბჭოთა კავშირი საერთო აღიარებით აქტიურად მონაწილეობს საბოლოო აქტის იმ დებულებათა შესრულებაში, რომლებიც ეკონომიკურ და სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობას ეხება. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი დასავლეთევროპელი პარტნიორები, როგორც წესი, უარს ამბობენ დაემორჩილონ ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენას, რომელიც ცდილობს ეკონომიკური კავშირურთიერთობა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ძირგამომთხრელი პოლიტიკის იარაღად აქციოს. ამერიკის ადმინისტრაცია 1976 წლიდან დაწყებული სისტემატურად ახორციელებდა ღონისძიებებს, რომელთა მიზანი იყო ვაჭრობის განვითარების შეფერხება და სსრ კავშირთან სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შეკვეცა.

ზედმეტია განმარტება იმისა, რომ პოლიტიკა, რომელსაც საფუძვლად უდევს ვაჭრობის გამოყენება პოლიტიკური ზემოქმედებისა და შანტაჟის იარაღად, ეწინააღმდეგება საბოლოო აქტისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ფორმასა და შინაარს.

## სასამართლო პროცესი პეკინში

პეკინში დაიწყო სასამართლო ლინ ბიაოსა და ძიან ცინის „კონტრრევოლუციური დაჯგუფებების“ საქმის გამო. განსასჯელთა სკამზე ზის ამ დაჯგუფებების 16-დან 10 მონაწილე, რადგან დანარჩენი ცოცხლები აღარ არიან. მათ, როგორც საბრალდებო დასკვნაშია ნათქვამი, ბრალად ედებათ პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელების, მრავალრიცხოვანი კადრის მუშაკებისა და ხალხის მასების დევნა, სახელმწიფო ხელისუფლების დამხობის, მაო ძედუნის მოკვლის ცდები, შანხაიში შეიარაღებული ამბოხების მომზადება. ეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ოცდაათწლიანი ისტორიის მანძილზე უპრეცედენტო პოლიტიკური პროცესია; ათი განსასჯელიდან ცხრა ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყოფილი წევრია.

სასამართლოს ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ ეს პირები პასუხისგებაში მიცემული არიან „სისხლის სამართლის დანაშაულისათვის“ და არა „მათი შეცდომებისათვის“ მუშაობასა და პოლიტიკურ გეზში. ამ ნაბიჯის აზრი და მიზანი სრულიად ნათელია: სასამართლოს ორგანიზატორები, რომლებსაც სურთ კანონიერად წარმოადგინონ სასამართლო გარჩევა, ცდილობენ დარტყმა აიცილონ მაო ძედუნის პოლიტიკურ კურსს, გაამართლონ თვითონ მაო ძედუნი და მაოიზმი, ლინ ბიაოსა და „ოთხეულს“ გადააბრალონ „კულტურული რევოლუციის“ დროს მომხდარი თარეში და ისინი და სხვა პირნი დაადანაშაულონ კატასტროფულ მდგომარეობაში, რომელშიც ქვეყანა აღმოჩნდა ამ კურსის განხორციელების შედეგად. მაგრამ ის, რაც ახლა ბრალად ედებათ ათ განსასჯელთ, როგორც კარგად არის ცნობილი, გამომდინარეობს იმ გეზიდან, რომელსაც ახორციელებდნენ მაო ძედუნი, ჯოუ ენლაი და მაოსთან დაახლოებული სხვა ჩინელი ხელმძღვანელები.

საბრალდებო დასკვნაში ნათქვამია, რომ „კულტურული რევოლუციის“ ექსცესებს შეეწირა 727 ათასზე მეტი კაცი, რომელთაგან 34 ათასი „სიკვდილის პირას მიიყვანეს“. მაგრამ ეს დაზარალებულთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია. თვით დენ სიაოპინი აღიარებდა, „კულტურულმა რევოლუციამ“ 100 მილიონი კაცი შეიწირაო.

უცხოელი მეთვალყურენი ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ საბრალდებო დასკვნის ავტორები არ ეხებიან იმ პერიოდის საგარეო-პოლიტიკურ საკითხებს. ეს მოწმობს, რომ ჩინეთის ახლანდელი ხელმძღვანელები ადგანან იმავე კურსს, რომელსაც ახორციელებდნენ მაო და მისი უახლოესი პირნი.

## წარმატებული ოპერაციები

ქაბული, 22 ნოემბერი. გრძელდება ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი ტერორისტული ბანდების ნაშთების ლიკვიდაციის წარმატებული ოპერაციები. როგორც ბახთარის სააგენტო იუწყება, სახალხო შეიარაღებულმა ძალებმა, სახალხო მილიციამ, რევოლუციის დამცველთა რაზმებში გაერთიანებულმა პარტიულმა აქტივისტებმა გაანადგურეს ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გარედან შემოგზავნილი დაქირავებულთა ბანდები ბადახშანისა და ფარიანის პროვინციებში. ეს ბანდები, რომლებიც მშვიდობიანი მოსახლეობის ტერორსა და ძარცვას ეწეოდნენ, აღჭურვილი იყვნენ ამერიკული, ჩინური და პაკისტანური იარაღით.

## ძარცვის წინააღმდეგ

პროგრესულმა საერთაშორისო საზოგადოებრიობამ ფართო მონაწილეობა მიიღო მასობრივ ღონისძიებებში, რომლებიც ტრანსეროვნული კორპორაციების ხაშში საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლის კვირეულის ფარგლებში გაიმართა. იგი მოეწყო ყველა კონტინენტზე 16-23 ნოემბერს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით.

„მიგვაჩნია, — განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წარმომადგენელმა კ. ტელბოტმა, — რომ საერთაშორისო გაერთიანებამ ყოველნაირად უნდა გააააქტიუროს მოქმედება იმპერიალისტურ კორპორაციათა მძარცველური პოლიტიკის წინააღმდეგ. არადა, სანამ ეს რვაფეხები თავიანთ პოზიციებს ინარჩუნებენ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ბევრ სახელმწიფოში, ხალხთა ნამდვილი განთავისუფლება შეუძლებელია“.

მსოფლიო საზოგადოებრიობის დარაზმვა იმისათვის საბრძოლველად, რომ ბოლო მოუღოს მონოპოლიათა ძალმომრეობას არა მარტო განვითარებადი, არამედ კაპიტალისტური ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, მთავარი მიზნის მიღწევის — საერთაშორისო მასშტაბით იმპერიალისტური ზეექსპლოატაციის სისტემის ლიკვიდაციის უმნიშვნელოვანესი წანამძღვარია.

## გამალებული შეიარაღებისათვის

ვაშინგტონი, 22 ნოემბერი. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა დაამტკიცა 1981 საფინანსო წლის ფედერალური ბიუჯეტი 632,4 მილიარდი დოლარის ოდენობით. ბიუჯეტში წინასწარ არის დაგეგმილი 27,4 მილიარდი დოლარი დეფიციტი.

ბიუჯეტის გასავლის ყველაზე დიდი მუხლია პენტაგონისათვის გამოყოფილი ასიგნებანი, რომლებიც მოხმარდება გამალებული შეიარაღების ზრდის ყველა მთავარი პროგრამის განხორციელებას. სამხედრო უწყებას გამოუყოფენ 159 მილიარდ დოლარს, რაც 28 მილიარდზე მეტით აღემატება გასული წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულს, და 2 მილიარდი დოლარით — ადმინისტრაციის პირვანდელ გეგმებს. კონგრესის მიერ მანამდე მოწონებული პენტაგონისათვის გამოყოფილ ასიგნებათა მაქსიმალური ზღვარი კი მართლაც რომ ასტრონომიულ ციფრს — 171,5 მილიარდ დოლარს შეადგენს.

„კომუნისტის“ კომენტარი

# მაკარტის აჩრდილი გრინსბოროში

შეერთებული შტატების ჩრდილოეთ კაროლინის შტატში მდებარე ქალაქ გრინსბოროდან მოვიდა ცნობა: მხოლოდ თეთრი მოსახლეობის წარმომადგენლებისაგან შემდგარმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ (ე. წ. „დიდმა ჟიურიმ“) გაამართლა ექვსი მკვლელი (ოთხი კუ-კლუქს-კლანის წევრი და ორი ნაცისტი), რომლებმაც ტყვიები დაუშინეს დემონსტრანტებს ქალაქის ზანგთა რაიონში და მოკლეს ხუთი ადამიანი. ჟიურის გადაწყვეტილების თანახმად „არ არსებობს არავითარი საბუთი იმისა, რომ მკვლელები თავდაცვის მიზნით არ მოქმედებდნენ“... საინტერესოა, რომ დემონსტრაციის ერთ-ერთმა მონაწილემ ქ. კრუმპერმანმა, რომელიც ესწრებოდა სასამართლოს სხდომას, განაცხადა: „განაჩენი წინასწარ იყო გადაწყვეტილი, უკვე მაშინ, როდესაც განისაზღვრა ჟიურის შემადგენლობა“.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქმის განხილვის მსვლელობაში არავის უკითხავს, თუ რატომ მოვიდნენ დემონსტრაციაზე დაუპატიჟებლად შეიარაღებული მკვლელები. ამავე დროს გამოძიებათა ფედერალური ბიუროს აგენტმაც კი დაადასტურა, რომ სროლა პირველად „თავდამცველმა“ კუკლუქსკლანებმა ატეხეს.

ყოველივე ეს იმდენად ჩვეულებრივი სტერეოტიპია თანამედროვე ამერიკის პირობებში, რომ, შესაძლოა, არც იყო საჭირო სპეციალური კომენტარი: რასიზმის სიცოცხლისუნარიანობა შეერთებულ შტატებში მრავალგზის არის დადასტურებული.

მაგრამ ამჯერად ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი რამ. ამერიკის ბურჟუაზიული პრესა ისე დაჟინებით უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ხუთივე მოკლული „კომუნისტი იყო“, თითქოს ეს საბუთი საკმარისია იმისათვის, რომ გაამართლო ყოველგვარი მხეცობა მათ მიმართ.

ის ფაქტი, რომ ფაშიზმი, რასიზმი და ანტიკომუნიზმი ყოველთვის პარალელური კურსით ვითარდებოდნენ, ყველასათვის კარგად არის ცნობილი, მაგრამ მათი ესოდენ მჭიდრო შერწყმა აშკარად მიუთითებს იმაზე, თუ რაოდენ ჰიპერტროფირებული ფორმები მიიღო ანტიკომუნისტურმა ფსიქოზმა შეერთებულ შტატებში.

ყოველივე ეს სრულიად ცხადად მოგვაგონებს ომისშემდგომი ამერიკის ისტორიის იმ მძიმე პერიოდს, როდესაც ქვეყნის შიგნით ვითარებას განსაზღვრავდა ე. წ. ანტიამერიკული მოღვაწეობის გამომძიებელი კომისია მაკარტის მეთაურობით. ცნება „მაკარტიზმი“ უკვე კარგახანია ფაშიზმის სინონიმად იქცა. ახლა ამერიკაში კვლავ გაისმის „მოჰკალ ზანგები და კომუნისტები!“

ამავე დროს ვაშინგტონის გარკვეულ წრეებში კარგად ესმით, რომ სათანადო იდეოლოგიური შემაგრების გარეშე მწვავე კონფრონტაციის პერიოდისაკენ შემობრუნება ძნელი იქნება. ამიტომ არის, რომ ამერიკაში კვლავ გამოჩნდა მაკარტის აჩრდილი.

**ედ. მენაბდე,**
„კომუნისტის“ პოლიტიკური მიმომხილველი.

მოკლედ

# ყოველი მხრიდან

## 22 ნოემბერი

● **სოფია.** აქ მუშაობა დაამთავრა საერთაშორისო სემინარმა თემაზე „ლენინური დიალექტიკა და თანამედროვე იდეოლოგიური ბრძოლა“.

● **ვენა.** აქ გაიხსნა წინააღმდეგობის მებრძოლთა საერთაშორისო ფედერაციის ბიუროს სხდომა. მასში მონაწილეობენ 19 ქვეყნის დელეგაციები. საბჭოთა დელეგაციას მეთაურობს ომის ვეტერანთა საბჭოთა კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი საბჭოთა კავშირის გმირი ა. პ. მარესიევი.

● **ანკარა.** უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში თურქეთის მოსახლეობა 12 პროცენტით გაიზარდა და ამას წინათ ჩატარებული საყოველთაო აღწერის წინასწარი შედეგების მიხედვით 47 მილიონს შეადგენს.

## სატირული ფუნჯით



ატომ-დოლარები.
ნ. მართაშვილის ნახატები.



# დგას მეციხოვნედ მარადისობა!..

## „კოლხობა“ — სახალხო დღესასწაული

ერთხელ კიდევ უნდა მივუბრუნდეთ თბილისის დღეებს, აჭარაში რომ გაიმართა. ათასგვარ ღონისძიებებს, რომლებიც ძვირფას სტუმრებს შესთავაზეს მასპინძლებმა, გვირგვინივით დაადგა სახალხო დღესასწაული „კოლხობა“ და ჩვენც გვინდა მოკლედ მოგითხროთ იმ უმშვენიერეს სანახაობაზე.

ხელვაჩაურის რაიონის ახალგაზრდობის ინიციატივით უკვე მესამე წელია, რაც აქ სახალხო დღესასწაული „კოლხობა“ დამკვიდრდა. წელს იგი „თბილისის დღეებს“ დაამთხვიეს მასპინძლებმა.

...და მართლაც, სტუმრების უმრავლესობა სწორედ „კოლხობაზე“ მოვიდა. დღესასწაული დაიწყო „ქვაომხაზეს“ — სარფის შესასვლელთან, მოკამკამე ზღვის ნაპირთან წამომართული უზარმაზარი ლოდის მახლობლად, რომელსაც ძველი ლაზები „ადგილის დედის“ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

...ნაპირს უახლოვდება „არგო“, რომელზეც იაზონი და მისი მხლებლები არიან. ისინი ნაპირზე გადმოდიან და მიემართებიან აიეტის სასახლისაკენ.

და უკვე გონიოს უძველეს ციხეში გრძელდება უკვდავი მითი მედეასა და არგონავტებზე. ლიტერატურულ-მუსიკალურ კომპოზიციას ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობები ასრულებენ. ციხის ქონგურებზე კოლხურად შემოსილი შუბოსანი ჭაბუკები დგანან. „ო, გოდოლ-ბურჯნო, გალავნებო, ნაგებნო მკვრივად, ნაგზარი რაა, ყველა თქვენი ნაკაწრიც მტკივა“...

მთავრდება ეს შთამბეჭდავი სანახაობა და სახელდახელოდ აგებული სცენა გონიოს საბჭოთა მეურნეობისა და სარფის თვითმოქმედ კოლექტივებს ეთმობათ.

ერთმანეთს ცვლიან ძველი ქართული, ლაზური სიმღერები და ცეკვები, ხალხური მთქმელები უმღერიან დედათბილისს, აჭარას, ლაზეთის უძველეს მიწას...

დღესასწაული გვიანობამდე გრძელდება. „კოლხობას“ ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. მენთეშაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნიძე, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. გაბუნია და სხვა ხელმძღვანელი ამხანაგები.

...მზე ნელიად ეშვება ზღვაში „ქვაომხაზესთან“... „შე ლაზურო აფრავ — ჩემო საპერანგე, ლეგენდად თუ ზღაპრად — საით დამეკარგე? სიზმარო თუ ზღაპარო, გიცნობ ლაზისტანად, მაგრამ ვილამ ახაროს ე მაგ ვაზისთანა“?

...მომავალი ახარებს ვაზს, ამ მიწის იმედიანი მომავალი, რომელიც იმ დღეს სახენათელი შეჰყურებდა მოზეიმე კედელ-ყურეს. აქ სწამთ და სჯერათ, რომ... „საქართველოს ციხეებზე მზის შუბოსანი დგას მეციხოვნედ მარადისობა!“

**მ. გორგილაძე,**
**ვ. მარდალეიშვილი,**
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტები.

სურათზე: არგონავტები უახლოვდებიან ნაპირს.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## რედაქციისაგან

ჩვენი გაზეთის 19 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა პროფესორ ი. ბოცვაძის რეცენზია ცნობილი ქართველი მკვლევარის მაქსიმე ბერძნიშვილის წელს გამოცემულ ნაშრომზე „მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის“.

სამწუხაროდ, გაზეთში წიგნის ავტორი ყველგან მოხსენიებულია როგორც მაქსიმ ბერძენიშვილი, რაც ველარ მიეწერება კორექტურას. ამასთან დაკავშირებით რედაქცია თავს მოვალედ რაცხს მკითხველ საზოგადოებრიობას ბოდიშის მოხდით აუწყოს შემდეგი:

სტამბაში მასალა სწორად აიწყო და გაზეთშიც სწორად მიდიოდა, ვიდრე ბოლოსწინა ამონაბეჭდ გვერდში ეს ყოვლად გაუგებარი „გასწორება“ არ შეიტანა რედაქციის თანამშრომელმა, რომელიც თავისი უფლება-მოვალეობის ზღვარს გასცდა და მორიგე რედაქტორის მიერ გვერდისათვის ვიზის მიცემის შემდეგ საქმეში ჩაერია. შეცდომა ვერ აღმოაჩინა ვერც გვერდის მორიგის მოადგილემ ე. წ. „ფხიზელმა თვალმა“, რომელსაც, ვთქვათ, შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ თვითონ მკვლევარი ვერ ურიგდებოდა მისი სახელის ამგვარ არაქართულ გამოთქმას, და რომ თავის წიგნში გურიის თავად დავით ერისთავის შვილს, 1820 წლის აჯანყების მონაწილეს მაქსიმეს უწოდებს და არა მაქსიმს, მაგრამ იგი ვალდებული იყო ბეჭდვის წინ ყველა საკუთარი სახელი დედნებთან შეედარებინა.

ფრიად საჩოთირო შეცდომისათვის ორივენი მკაცრად დაისაჯნენ.

---

გაზეთ „კომუნისტის“ ა. წ. 24 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა რამდენიმე თავი პოეტ ხუტა ბერულავას პოემიდან „რუსული გული“, რომელიც ორი წიგნისაგან შედგება.

ამჯერად ვაქვეყნებთ კიდევ რამდენიმე თავს „რუსული გულის“ მეორე წიგნიდან.

# რუსული გული

**ხუტა ბერულავა**

## თბილისის თანამგზავრი

... ცეცხლი თავისით არ დაინთება!
კმარა ლოდინი და გარინდება:
დროა, ვეწვიო ვანო თელიას
და მის ძმობილებს—რუსთავის მკვიდრებს,
ვიდრე ვახსოვართ და მომელიან,
როგორც დაკარგულ მეგობარს, ვიდრე...

ვთქვი და რუსთავმა გამიღო კარი:
— აგერ შენა და აჰანდე მტკვარი!
რა იშვიათად გვიხსენებ ხოლმე,
თითქოს არა გრძნობ ფოლადის ძახილს.
შენი გმირები ჩამოსვლას გთხოვენ
და იგვიანებ... რას იტყვის ხალხი...

შუა ქუჩაში ავყვირდი ლამის:
— არცა ვინ უწყის მიზეზი ამის.
სიტყვა კერპია ქალის გულივით,
ზამთრის ხილივით მწიფდება გვიან,
სიცოცხლეს იწყებს მძაფრი დუმილით
და ამ დუმილსაც სიმღერა ჰქვია...

ვდუმდი და შენზე თქმულებას ვჭედდი,
დღეს კი მაღელვებს თელიას ბედი,
შენ ხომ იმ ბიჭის ტოლთა და ძმათა
დიდი ცხოვრების ხარ მონაწილე,
ხომ შეაშველე მზრუნველი კალთა
ვოლგის ქალაქში ნაწრთობ ყმაწვილებს?!

რუსთავმა თავი დამიკრა უმალ,
როგორც ახლობელს და არა სტუმარს:
— მოდი, ეძიე თავდავიწყებით,
მაგრამ შენ უნდა გახსოვდეს უკეთ,
იმდროინდელი ძმადნაფიცები
რომ სიყმაწვილეს დაშორდნენ უკვე...

იმათგან მრავალს თმა შევერცხლია, —
სხვა რომ არ იყოს, ცეცხლი ცეცხლია!
თუმცა ოფლს ღვრიან, ვით ჭაბუკები,
თუმცა სულ ახსოვთ ზმა და კაფია,
თუმცა აქ სახლობს ყველა უკლებლივ,—
წლები ქუხილით მიისწრაფიან.

მითქვამს და მორჩა. არ გედავები.
აქ მყვანან შენი გამბედავები.
მათსავით ვერვინ მოგითხროს ჩემზეც
ტკბილად, გულთბილად, გულხვავიანად.
ვოლგელებს უხმე, უცნობებს ემმე
და უძღვენ შენი რუსთავიანა.

სამზეოს ამცნე, ოდეს დამზრალი,
დღეს რომ თბილისის ვარ თანამგზავრი,
ამცნე ამ მიწის ფერთა სიმდიდრე
და ერთგულება სანდო შვილების!
... რაღა მეთქმოდა, მეც გავირინდე
ნიშნად თანხმობის და მორჩილების.

## თემურ ხეთელი

ერთხელ, როდესაც მარტენთან მდგარი
ვფიქრობდი გაბროს ახალ წერილზე,
— ვანო, ეს შენი შეგირდი არი! —
მითხრა სოლომონ შარაძენიძემ.

მითხრა და მხარზე დამადო ხელი
მეტალურგიულ ქარხნის უფროსმა,
შემომაფრქვია ღიმილი წრფელი
და ახალბედას გზა დაულოცა.

თუმცა მანამდეც ვზრდიდი შეგირდებს
და არ მიმძიმდა ოსტატის როლი,
მეწყინა კიდეც, ღმერთო, შემინდე, —
სადა მაქვს თავი ამდენის მოვლის!

— საღამოს ჩემთან თუ ამოივლი,
მე წაგაკითხებ ამ ბიჭის ბარათს! —
შარაძენიძემ ჩუმად, ტოლივით
მიჩურჩულა და წავიდა ჩქარა.

შევხედე ყმაწვილს. ეს დალოცვილი
რამსიმაღლეა... რას უგავს თმები...
— განახეს ყველაზე მეტად მოცლილი! —
ჩემს თავს დავცინი და გულზე ვსკდები.

სად რუსთავი და სად ეს ბოკვერი,
რომ აბრიალებს თვალებს ლომივით!
თუ გამოჩნდება სადმე ოხერი,
თუ გამოჩნდება სადმე ლტოლვილი,

მე მიგზავნიან გასაჩარხავად.
არა მაქვს მათგან ძალა და ძილი...
— რა გქვია, ვეჟო?
— თემო გახლავართ,
ზურაბ ხეთელის მეოთხე შვილი!

— მშობლები გყვანან?
— მამაც და დედაც.
მამა სოფელში ბრიგადირია
და ცხრა შვილი ჰყავს... განახათ, ნეტავ,
პატარები რომ ერთად ტირიან!

გაგიხარია, პასუხს მაძლევდა,
ვითარცა წერო კისერაწვდილი,
მაინც შევძელი თავის დაძლევა.
— შენ გონიერი ჩანხარ ყმაწვილი...

ეს უნდა მეთქვა, არ დამაცალა:
— ნახავთ, ბატონო, ვინც ვარ, რაცა ვარ!

გამოგიტყდებით, ჭკუით და სიბრძნით
მაინც და მაინც არა ვბრწყინავდი...
თქვა და შევძახე: — ეს უკვე ვიცით!
პური თუ ჭამე ან დაბინავდი?

მითხრა: — დირექტორს ვეახელ დილით
და მტკვრის ნაპირას გავტეხეთ პური.
ისე მიმიღო, ვითარცა შვილი
და საუბარიც გამიბა ძმური.

თუმცა მგონია ზამთრის ზღაპარი
და სოფლელებიც ხვალ მიმელიან,
აქ უკვე მომცეს თავშესაფარი,
ჩემი ოსტატი არის... თელია!

მთლად გადამრია და დამანელა,
ახმახი ბიჭის ხმამ და მანერამ.

რომ გავიხსენებ ჩვენს იმ დიალოგს,
ვდგავარ მარტო და ჩემთვის ვხარხარებ.
იმ დღეს, მერწმუნე, ადამიანო,
სიცილში ოფლი მეტი დავღვარე.

როგორც ფროლოვმა ოდესღაც მკითხა,
იმ ტონითა ვთქვი: — დარჩები დიდხანს?

არ გეშინია ვერანი ცეცხლის?
—მე ჯიუტი ვარ მეფისწულივით,
ვერაფერი და ვერავინ შეცვლის,
რაიც გადაწყდა ჩემი სურვილით!

— ღმერთი გიშველის! — ღმერთი კი არა,
თქვენი სიკეთე და ჩემი მკლავი!
მიპასუხა და იმ ცინგლიანმა
არ მომაწონა კიდევაც თავი?

...და განვაგრძობდი მარტენთან ბრძოლას,
და იდგა ბიჭი მშვიდად, მარტოკა.
ხან ჩაჰყურებდა მდუღარე ფოლადს,
ხანაც მიმზერდა, ვითარ ჯადოქარს.

## ხეთელის წერილიდან

„ძია სოლომონ! ექვსი თვე გახდა,
მე საშუალო რაც დავამთავრე,
ავიტუზები მეზობლის ბაღთან
და ჩემი ქცევით მამას ვაჯავრებ.

კაცი უსაქმოდ ვერ ნახავს მამას, —
ყანაში შრომობს, ვენახსაც წამლავს.

არც დასვენება მისთვის, არც ძილი!
რა დააძინებს ცხრა შვილის პატრონს!
ისე ჩუმია და სიტყვაძვირი,
რომ გამირისხდეს, იმასაც ვნატრობ.

დედა აკვნების რწევას უნდება,
წამით არ ძალუძს თავის აწევა.
ზოგჯერ მტრედივით აღუღუნდება
და... გულზე მძიმე დარდი მაწვება.

სოფელს ჩემებრი არ ჰყავს უქნარა,
ვარცხვენ მშობლიურ ზეცას და კერას.
ველარ მოქმედებს ძმათა მუქარა,
ვერ მომარჯულეს, ვერა და ვერა!

თოხნა ვიცი და არ ვთოხნი ყანას,
ბარვა ვიცი და მივაგდე ბარი,
არ წავიდოდი ნახირში განა,
მაგრამ არ მიყვარს წვიმა და ქარი!

დედას წყალზე რომ არ ეგზავნება,
ისეთი შვილი რაღა შვილია!
შეშის დაპობაც რად მეზარება,
თვითონ არ ვიცი და... მეშინია.

ჩვეულებრივი მე არ მიტაცებს,
უჩვეულოსთვის ვერ მიმიგნია,
ზოგი მარწმუნებს, დედამიწაზე
რომ საოცრება მხოლოდ წიგნია,

მაგრამ წიგნითაც ვერ ვიამაყებ,
მხოლოდ რადიომიმღებს გადავყვები:

დავეხეტები ტყეებში, მინდვრად,
თან დამაქვს ჩემი კეთილი „რიგა“.
მუსიკას ჩავრთავ, როდესაც მინდა,
მოვისურვებ და იქცევა წიგნად.

ნუხელ გადმოსცეს (და იქნებ ადრეც!)
ვანო თელიას ძველი ამბავი, —
როგორ ასწავლა ფროლოვმა ქართველს
ფოლადისა და ცეცხლის ანბანი!

გამატეხინეს ღამე ფიქრებმა
და გადავწყვიტე წამოსვლა მანდეთ.
ეს ფანტაზია თუ არ იქნება,
მსურს, თელიასთან შეგირდად დავდგე.

ვინ იცის, იქნებ გამეხსნას ტვინი,
გამომაფხიზლოს მარტენის ხმამა,
და დედაჩემის ეშველოს ტკივილს,
და გავახარო საბრალო მამა!

მგონი თელიაც არ იტყვის უარს,
თუ ჩემზე ცოტას შეეხვეწებით.
მე კი მანამდე მოვიკრებ ჭკუას
და ახალი წლის დამდეგს გეწვევით!“

✦ ✦

ამის დამწერი გახლავს ყმაწვილი,
შარაძენიძემ ვინც ჩამაბარა.
თუკი ვერ მივეც სულის ნაწილი,
არ გამიშვია ღვთის ანაბარა.

რამდენი მახსოვს ხეთელის მსგავსი!
ხომ ხედავ, როგორც დროის ნათება,
რუსთავქალაქის მუშათა კლასიც
სოფლის წიაღში რომ იბადება.

## მოულოდნელი მონოლოგი

ძმაო პოეტო, არა მგონია,
გითხრა, გაუწყო რამე იმგვარი,
გარდათქვა ლექსად ან სიმფონიად,
შეძრას გული და გაჩნდეს გრიგალი.

ვიცი, არა ხარ მუნჯი გამგონი,
ყველა როდი გვყავს გულით ხალასი,
ჩვენც გვირევია უჯილაგონი,
ვით სარეველა პურის ყანაში.

შურიც არ გახლავთ ისე უმწეო,
ისე აზიზი, წმინდა ცხოველი,
წამალი ერთხელ გამოუწერონ
და განიკურნოს მისგან ყოველი.

შურს, ისიც კი შურს და ეხარბება,
რომ ძნელ ჯაფაში ხარ დაუღლელი,
სხვათა სიკეთე რომ გიხარია
და არ გამძიმებს ძმათა უღელი.

უკეთურობას მართლა რა იცავს,
თუ არა გულგრილ მოგვთა სიმშვიდე!
სულ დავხატავდით ამ ცას და მიწას,
ხელს ეს ოხერი რომ არ გვიშლიდეს.

ეს უგულობა მაოცებს მხოლოდ,
სხვა არაფერი. ბოლოს და ბოლოს:

რადა დუმს ხალხი, როდესაც გიჭირს
და მუხანათი გიმზადებს ლახვარს,
რად ებადება უცაბედ იჭვი,
თუმცა კი უწყის: ვინა ხარ, რა ხარ...

რად არ იქუხებს ხმა მისეული,
უსამართლობას როდესაც ხედავს?
ო, გულგრილობა! იყოს წყეული
მისი გაჩენის პირველი დღე და —

დენივით სადღაც ჩამიწებული,
უკანასკნელიც იყოს წყეული!

განა აშკარა არ სჯობს ღალატი,
ვიდრე ეს ცივი დაღრეჯილობა,
თავზე რომ გადგას, როგორც ჯალათი,
და... უფრო მწარედ გტკივა ჭრილობა.

მეც ვიცი, როგორც ქვეყანამ იცის:
სიბრძნით,
სიკეთით,
ოცნებით,
კვნესით
ადამიანი დღედაღამ იბრძვის,
რომ უგულობის აღმოფხვრას ფესვი;

დასაბამიდან ჯიუტად იბრძვის,
სძლიოს იმ ურჩხულს, არც ისე მომცროს,
და ამისათვის, ვით შუქი სიბრძნის,
ურიცხვი გმირი შეერთო კოცონს.

ამას რომ ვამბობ, ცეცხლი მედება
და წინამურის გზა მახსენდება,

იმ ათას ცხრაას შვიდი წლის წამი,
როცა შეჩერდა ილიას ეტლი!
რატომ შეჩერდა?
შენ გატეხ ყამირს
და მიპასუხებ, თუ ვერვინ მეტყვის?

ბერბიჭაშვილის ტყვიის ზუზუნი,
ხომ იქნებოდა თითქმის უძლური,

რომ უფრო ადრე ხმა ამოეღო,
წამომდგარიყო ილიას ნაცვლად,
ვისაც ძალედვა, ბრძოლა მოეგო
და ეკუთვნოდა პოეტის დაცვა.

რატომ არავინ, რატომ არავინ
აღმოჩნდა, ვიდრე არ იყო გვიან,
რომ აეცდინა გულშემზარავი
და ულვთო ტყვია?

ნუთუ რჩეულთა ხვედრი ეს არი,
რომ სიცოცხლეში ჯვარს აცვან ყველა,
ვისი მართალი გული მკვნესარი
ითხოვს მამულის ხსნასა და შველას!

ნუთუ... ეტყობა საზღვარს გადაველ,
(ალსარებაა ეს თუ ჩივილი!)
დიდ ტრაგედიას რომ შევადარე,
ჩემი სულ მცირე გულისტკივილი.

თუმცა გგონია, არ ვარ დაღლილი,
თუმცა მინოდებ ზოგჯერ ოქროპირს,
ვერ დავიჭირე მაინც აღვირი
სურვილის, სიტყვის და ბობოქრობის.

შენც, როგორც მკითხველს, გთხოვ,
მაპატიო,
რომ ახსნილი მაქვს მკერდი — სარქველი,
ამაღამ თეთრად რომ გავათიოთ,
არ დამელევა შენ წილ სათქმელი.

## ...და მზე ქალივით შემოგანათებს

შიშველი ფეხით ვისაც უვლია
მწვანე მინდორზე, ალბათ უხილავს:
მზეა,
სითბოა,
გაზაფხულია
და... ცა იქცევა ჭექა-ქუხილად.

მზეს ღრუბლის ფარდა აეფარება,
გარინდდებიან ტყეში ჩიტები,
ფიქრი რა არის, არ გეკარება
და შენც ბჟიტივით გაირინდები.

და არსაიდან სინათლის ზოლი,
და არსაიდან ძახილი მეხის,
და მოლოდინი შიშის და ძრწოლის,
და მოლოდინი ელვის და მეხის!

გგონია, ბნელში მარტოკა დარჩი,
დაკარგავ ბილიკს, ეგზომ სანატრელს,
აირევიან ღრუბლები ქარში
და... მზე ქალივით შემოგანათებს.

შემოგანათებს ისე ლამაზად,
დაგახუჭვინებს თვალებს ანაზდად!



ან კიდევ, კიდევ, როცა ბოროტი
გზას გადაგიჭრის, ვით შავი კატა,
მხოლოდ სიავეს ელი ბოლომდის
და სულ ბინდისფერ სურათებს ხატავ;

ელი, ყველაზე ცუდი რაც არი,
შეგიპყრობს დარდი მთების ოდენა,
არ ჩანს იმედის მცირე მარცვალი
და ყველასათვის მოულოდნელად,

მოგევლინება უცნობი ვინმე,
თავისით, სხვათა თხოვნის გარეშე,
რომ გაგიქარვოს ნაღველი მძიმე,
მოგეფერება, მოგიალერსებს!

იმ დღესაც... კართან აენთო ზარი,
და რომ გაალო მარიკამ კარი,

შინ შემოვიდა სტუმარი... არა,
რევაზიშვილი ზაქრო ვიცანი.
— აქა მშვიდობა! — წარმოთქვა წყნარად,
და მომაჩერდა, ვით გულთმისანი:

— რას ჩამოგტირის ცხვირი ამ დილით,
მოვსულვარ შენთან ეგებ შორიდან.
არა ხარ ციდან ჩამოვარდნილი,
თავი ჩათვალო მეტეორიტად.

ვანო, ძმობილო, დაცხრი, დამშვიდდი,
შემომანათე მზერა ნათელი
და ვიდრე დღეის გაზეთს გაშლიდე,
გადაიკითხე ეს ბარათები!

### ავტორისაგან

ბევრი რამ ვიგრძენ იმ ბარათებში,
მყის რომ გადმომცა ვანო თელიამ.
ვნახე სიკეთის წმინდა ნათესი,
მაშ ეს ცრემლები რად მომერია?!

## ფარნაოზ ხვედელიანი

ორიოდ სიტყვა საკუთარ თავზე:
სადაც არიშის ნაციხარია,
იქ ვცხოვრობ ჩემთვის, იმედით სავსე,
ჩუმად ვსულდგმულობ და მიხარია —

ჩემი რუსთავის მხარგაშლილობა,
მისი მშვენება, მზე და სიმწვანე,
და მავიწყდება ძველი ჭრილობა,
და მავიწყდება ყველა სიმწარე.

... რევოლუცია! ბრძოლა წყვდიადთან!
იმ ათას ცხრაას ჩვიდმეტის შემდეგ,
ვით ამაღლება ადამიანთა,
გრძელდება დღემდე.

გრძელდება-მეთქი და გაგრძელდება,
ძველი „ავრორას“ ქუხილიანა,
ვიდრე მზესავით არ გათენდება
ყოველი კაცის სულში მთლიანად.

გთხოვთ, მაპატიოთ ეს შეძახილი,
რომ არ ჰგავს მგზავრის უდარდელ
ღიღინს.
მე კომუნისტის მქვია სახელი
და ეგ სახელი სიცოცხლედ მიღირს.

რადგანაც მისი ერთგული მარად,
მეცა ვყოფილვარ ქვეყნად ჯვარცმული,
გამცნობთ,
გაუწყებთ,
გიგზავნით ბარათს,
მალაპარაკებს სევდა კაცური!
ვანო თელიას დარდი მაწვალებს,

მისი უბრალო, პატარა დარდი!
ყველა სიკეთე რაც ჩაამწარეს,
მას შემდეგ, ვხედავ, ლანდივით დადის.

ვილაც ულირსმა და უმეცარმა
გადმოანთხია თავისი შხამი
და ანაზდეულ ისე შეგვცვალათ,
ფოლადის კაცი გასწიროთ ლამის.

თქვენ ადიდებდით მას წარამარა
და ხელის გულზე დაატარებდით,
დღეს მიატოვეთ დარდის ამარა,
გუშინ რომ ნიავს არ აკარებდით.

და გეკითხებით, თქვენ, ვისაც ხალხმა,
განდოთ ქართული ფოლადის ბედი,
და ეს გიგანტიც წინ მიგყავთ, მაღლა,
ხომ არ გამოგრჩათ მაშვრალი ერთი,

გადამლახველი ყველა სიძნელის,
აქ რომ დაგიხვდათ, ვით მასპინძელი!

სოფლელი ბიჭი გახდა მდნობელი,
დაუმმობილდა მარტენის ღუმელს,
არ უთხოვია სამადლობელი,
არ უნატრია დიდება მრუმე,

ის ერთ ადგილზე არ გაყინულა,
იზრდება, როგორც ქალაქი მისი,
ასიათასში იბრძვის გმირულად
სიყვარულის და მადლობის ღირსი.

თელიაც ხედავს, ქარხანა ჩვენი
რომ ახალ-ახალ მწვერვალებს იპყრობს,
მას კი უმზერენ... დუმილით, წყენით,
თითქოს უცხო და უცნობი იყოს.

მეთაურების დუმილი ცივი,
თანამებრძოლთა განზე განდგომა,
არის წინასწარ ჩაქრობა სხივის,
არა ნამდვილი ამხანაგობა.

ყველა ბოროტი, ყველა ავსული,
მაშინ თავხედობს და იკლაკნება,
როცა კაცს იჭვით შემოგარსული
რწმენა შვილივით ხელში აკვდება.

ამხანაგს, მაშვრალს, თანამოაზრეს
სჭირდება ჩვენი ძალა და მხარი,
როცა მას, თუმცა დიდი დრო მზის,
აღარ უნათებს მზიანი დარი.

იჩქარეთ, ვიდრე არ არის გვიან,
როგორც ლენცოფა, მოთხარეთ ძირში
ის, რასაც ქვეყნად აშკარად ჰქვია
უკულმართობის წინაშე შიში!

ვინც ამისათვის გაგირისხდებათ,
ის მხოლოდ ახლო მხედველი არი...
გწერთ იმედით და პატივისცემით
თქვენი ფარნაოზ ხვედელიანი.

## ეს აღსარება ძმადნაფიცების...

ჩვენ ანგელოსზე არ ვამბობთ, ძმანო,
ადამიანზე გესაუბრებით,
გვნადია მხოლოდ, გაგაცნოთ ვანო,
ამხანაგთა და ძმათა უფლებით.

ქვეყანამ იცის ჩვენი ამბავი,
ერთად ვისწავლეთ, ვისწავლეთ რაცა,
ერთად აგვიხსნა ცეცხლის ანბანი
ვოლგისპირელმა ფოლადის კაცმა.

ამაოდ გვაწრთო ფროლოვმაც განა?
ერთად დავბრუნდით მშობელ მხარეში.
ზოგს მშობლიურივით ჩამოყვა თანა,
ვინც არ მოაკლო შორეთს ალერსი.

ვინც იმ დღეებში რუსთავს მოვიდა
და ახალბედებს აგვიბა მხარი,
მათ შორის რუსი ბულგაკოვი და
უკრაინელი ლიხოტაც არი.

რუსთავი მათი მადლობელია,
მაგრამ სულ ახსოვს სხვა დანარჩენიც,
ვით ესტონელი რობერტ პელია
და მოლდაველი ნინა მარჩელი...

გმირული შრომის გავიდნენ წლები.
ვანომაც ფრთები ლაღად გაშალა,
მაგრამ სისინი მოშურნე მტრების
ვის არ დაუხშობს, ნეტავ, გზა-შარას?

ვით გაბედაო ხმის ამოღება,
ვით გაკეწნლაო უცნობ-ნაცნობი,
რომ დაიფარეს დიდმა მოგვებმა
და... წუნი გახდა მისი ნადნობი.

და შეწყდა ყველგან გმირის ხსენება,
და ოსტატობაც გახუნდა, ცაცვდა,
ვით წყევლა-კრულვა და შეჩვენება,
თან გაეკიდა დუმილი კაცთა.

ვდუმდით ყველანი, რადგან გვეგონა,
არ სჭირდებოდა მას მიშველება.
გული დავწყვიტეთ ალალ მეგობარს, —
აი, ეგ არი საშინელება!

რადგან გვეკუთვნის ჩვენ საყვედური,
ძმადშეფიცული არც გვეკარება.
ჯავრობს,
ბობოქრობს,
ღელავს,
გვემდურის
და უძნელდება თავშეკავება.

არც ჩვენ აღმოვჩნდით ისე ჭკვიანი,
რომ არ დაგვენყო წილადობილა,
ხოლო ზელიმხან ჯინჭველიანი
გვიან გავიგეთ, ვინცა ყოფილა!

ყინული ერთხელ რომ გაიბზარა,
სიავის ყველა მოასპარეზე,
ყველა ლაჩარი, ყველა მშიშარა
შეკრბა და დადგა იმის მხარეზე.

ვისაც კი ჰქონდა პატარა წყენა
საქმის გამო თუ შემთხვევის გამო,
არ აჩერებდა ჭორფლიან ენას,
რომელსაც ქვეყნად ვერავინ სწამლობს...

### ავტორისაგან

არ ჩავყოლილვარ ბოლომდის ბარათს,
თვითონვე მივხვდი დანარჩენს... კმარა...

### თელიას განმარტება

ზაქრომ გაზეთიც გაშალა უმალ,
სადაც ვეხატე — მარტენთან მდგარი,
გადავეხვიე ჩემს კეთილ სტუმარს
და კვლავ გაიხსნა იმედის კარი.

## შთამომავლობას, ასი წლის შემდეგ

— შთამომავლობავ, ჩვენო სისხლ-ხორცო,
გთხოვ, ეს უსტარი არ გაიოცო
და წაიკითხო ასი წლის მერე,
ფოლადის ფირზე რაც ჩაგიწერეთ!

ვწერდით და მხოლოდ შენზე ვფიქრობდით
და შორი სალმის ყველა სტრიქონი
გამსჭვალულია შენდამი ნდობით
და სიყვარულის მფეთქავი გრძნობით.

საიდან ვართ და ვინა ვართ ახლა?
ჩვენ გამოგვზარდა ქართველმა ხალხმა,
რომელსაც ბევრი ჰყოლია მტერი
და არაოდეს უცვლია ფერი.

თავისუფლების ლამპარი ეპყრა
და ეძიებდა მოკეთეს ქვეყნად.
რუსთველი გვყავდა როგორც მოძღვარი.
და მგალობელიც სხვა, საოცარი.

ჩვენს ქალაქს, გვამცნობს ძველი არაკი,
რქმევია თურმე ბოსტან-ქალაქი,
კიდევ: რუსთავი — სათავე რუის,
კიდევ: ნაგები და... ბედის ყმუილს

ვერ გაქცევია კუხეთის ბურჯი,
სელჯუკთა ზვავთან მებრძოლი, ურჩი.
— ანცა ოხერ არს! — გემახსოვრება,
როგორ გმინავდა „ქართლის ცხოვრება“.

მოთქვამდა მიწა უდაბნოსგვარი,
და თარეშობდა ხორშაკი ქარი,
ვიდრე... დანარჩენს რუსთავი გეტყვის,
ვით მეგობრობის ცხოველი ხვეტი.

რომ არა დიდი წინაპრის ბრძოლა,
რომ არა ჩვენი მზისაკენ ლტოლვა,
რომ არა ჩვენი ბიჭების გარჯა
და ძმადნაფიცთა მაგარი მაჯა,

დაგიხვდებოდა მწირი ალაგი
და არა დიდი ბოსტან-ქალაქი,
უკაცრიელი და გადამწვარი,
და არა ძმობის დიდი ტაძარი!

შთამომავლობავ, რუსთავის მკვიდრო,
როცა მშობლიურ ცასა და მინდორს
მოავლებ მზერას და გაიხარებ,
როს ჩაგიდგება სულში სინწნარე,

როცა იხილავ სიგუას ქუჩას,
დასასრული რომ აღარსად ჩანს,
შარაძენიძის განიერ გამზირს
როცა გაჰყვები ფიქრით და აზრით,

გომელაურის მშვენიერ [illegible]
რომ დაგინახავს [illegible]
ან გიორგაძის ლამაზ ხეივანს
რომ [illegible]

ქაშაკაშვილის ძეგლთან ვედრებით,
სულ ერთი წამით რომ შეჩერდები,
გთხოვ, თაყვანი სცე თვითეულ მათგანს,
და ათასობით სხვა გმირსაც, რადგან,

მათ, საქართველოს სანდო შვილებმა,
შეძლეს ფოლადის დამორჩილება.

ასწიო თასი აღელვებულმა
და ქართველურად, და ძველებურად,
თქვა მეფოლადის სამადლობელი
და განადიდო ერი მშობელი!

მათმა გულებმა, მათმა ხელებმა,
შექმნეს ვით დროის საკვირველება,
შენი ქალაქი, დასტურ უბადლო!
ხამს, ყველა მათგანს რომ დაუმადლო,

✦ ✦

...ძმაო კეთილო, უსტარი ესე,
არა ქაღალდზე და არა ხეზე,
ჩვენ ამოვკვეთეთ ფოლადზე, რათა
ცოცხლად მივიდეს მომავლის კართან.

## ქორწილი კოლხეთში

თუმცა ჯერ კიდევ შორს იყო რთველი
და თავს იკლავდა ცხელი ზაფხული,
ფეხზე წამოდგა სოფელი მთელი —
ელოდა ლხინი ჯერარნახული!

ასეთი მშვიდი, ასეთი წყნარი
ჯერ არ მეხილა ჩემი გამზრდელი...
გაიღებოდა სამზადის კარი
და მოდიოდა საჭმელ-სასმელი.

არც ღვინო გვაკლდა, არცა საკლავი,
არც წიკლაურის ნანადირევი,
როშკის ჩანჩქერთან ტყვიანაკრავი —
ჯიხვი იდგა თუ მართლა ირემი.

ყოველ ეზოში ენთო კოცონი,
ფრინველს ხოცავდნენ,
წვავდნენ,
ხარშავდნენ.
ვერ ვიოკებდი გრძნობას მოწოლილს,
ვერ ვისვენებდი სუფრის გაშლამდე...

ფარიკაობდნენ ჯმუხა ბიჭები,
გაბროს კი შებმას ვერ უბედავდნენ.
იბრძოდნენ ჟინით, გულდადინჯებით,
რადგანაც ნამდვილ ხევსურს ხედავდნენ,

მუხის ქვეშ თედო ბერეკაშვილი
აჟრიალებდა ფანდურს ძველებურ.
თემურ ხეთელიც, გურიც, არჩილიც
ჰანგსა მღეროდნენ ამოჩემებულს.

იყო ზეიმი და ჟრიამული,
ირთოდნენ სიამით გულის ძარღვები,
ნიავს მიჰქონდა ხმა მხიარული,
არა გნიასი ყურისწამღები.

დაფარფატებდა, მაშა-მარიკა,
გალიმებული, თავამართული,
ელიმებოდა, რადგან გაიგო, —
გამზრდელს მოსწონდა მისი ქართული.

უკვე აქ იყვნენ ჩვენებურები.
აქ იყო ჩემი ორივე შვილი,
იგვიანებდნენ ოლონდ სტუმრები,
რომ ჩამოფრინდნენ ვოლგიდან დილით.

მეუბნებოდნენ: — გულს რად იხეთქავ,
დღეს ქორწილია, ბოლოს და ბოლოს.
განა არ გითხრეს, რუხის ციხესთან,
რომ უნდა დახვდნენ ივანე ფროლოვს!

და აი ამ დროს მოიჭრა დალი
(გოგოსა ჰგავდა ოთხი ძის დედა!)
— გთხოვ, გაახილო, ძმობილო, თვალი,
ჭიშკართან დახვდი მაშასთან ერთად!

მოდიან აგერ, შალვა და მზია —
შენი სიძე და შენი გოგონი!
რუსი სტუმრებიც მოვიდნენ გვიან.
სტუმრები გვყვანან, მერე როგორი!

იდიდოს მადლი უკვდავი ძმობის
და მისი ძალის საკვირველება!
სამახარობლოდ გავარდა თოფი, —
როგორც იცოდნენ ჩვენმა ძველებმა.

კიბეზე დადო დიდედამ თეფში,
სიძემ დაადგა ფეხი და იმ დროს
„ფეხზედნიერი“ სიმღერის ეხი
მოედო მწვანე ეზოს და მინდორს.

სიმღერის ექო რაკი მიწყნარდა,
მაშამ ჩამოჰკრა ჩონგურის ლარებს.
ოცმა ჩონგურმა დაიწკრიალა
და მოეფინა მშობლიურ მხარეს.

## ბოლოთქმა მეორე წიგნისა

ამაოდ ფიქრობს, ვინც აგრე ფიქრობს,
პოემა თითქოს სულს ლაფავს უკვე,
ვინცა გმობს დროის ცეცხლოვან სტრიქონს
და მწირ ქვეტექსტებს საკმეველს უკმევს.

არა ქადილი მსაჯულთა ცრუთა,
გვწამს რუსთაველის ნატიფი სიტყვა,
რომ უკვდავია დღესაც და მუდამ,
რაიც ჭეშმარიტ ყალიბში ითქვა;

არა ჩხაკუნი ხეკაკუნების,
ახლაც აკაკის ძახილი გვესმის,
რომ სულ მწვანეა პოემის ფესვი,
ვითარცა სუნთქვა დედაბუნების.

როგორც პუშკინი, როგორც გოეთე,
ღაღადებს ვაჟა, ფეხზე ამდგარი,
და ევედრება დღეის პოეტებს,
არ გააგონონ სიტყვა ამგვარი, —

თითქოს პოემის დრო წასულია
და გახდა ნივთი სამუზეუმო,
თითქოს არ ძალუძს, დროშა სრულიად —
პოეზიისა კვლავ აზეიმოს!

ოღონდ ფეთქავდეს გრძნობათა თქეში,
ოღონდ ხმამაღლა სათქმელი ჰქონდეს,
ვითარცა მუხა იცოცხლებს ტყეში,
ისე პოემაც არ დახრის ტოტებს!

შენც, ძმობის წიგნო, როგორიც იშვი,
მწადია, ენთო ჟამთასვლის მერეც,
რადგან ეს ძმობა — ოქტომბრის პირმშო
აერთიანებს გულებს და ერებს.

რაიც გენებოს, თქვი ვაჟკაცურად,
ადიდე გრძნობა — სიკეთის თესლი.
რაგინდ ივავოს სიტყვამ მაცდურმა
სიწმინდეს ვერას დააკლებს ესლი.

შენი ვალია, სინათლეს ჰფენდე
დედა-სამშობლოს წინსვლას და ბრძოლას,
მომავლის ძალას ბოლომდის ენდე,
[illegible]





# წარსულს მომავლისათვის იკვლევს

### პროფესორ გ. გოზალიშვილის დაბადების მე-80 წლისთავის გამო

„თუ სრულიად სამართლიანად იყო მიჩნეული, რომ არც სომხეთის, არც საქართველოს და სლავების ისტორია ბიზანტიის ისტორიის გაუთვალისწინებლად არ შეიძლება დაწერილიყო, ახლა ასეთივე სამართლიანობით უნდა ვაღიაროთ, რომ არც თვით ბიზანტიის ისტორიის დაწერა შეიძლება, თუ არ იქნა მხედველობაში მიღებული აღმოსავლეთისა და თვით ჩრდილოეთის იმდროინდელი ცხოვრება“, — წერს გ. გოზალიშვილი.

ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ გამოთქმული ამ აზრის ხორცშესხმასა და სხვა შრავალი ურთულესი პრობლემის კვლევას მოახმარა თავისი მეცნიერული მოღვაწეობა თვალსაჩინო ქართველმა ისტორიკოსმა, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. გოზალიშვილმა.

თავის ნაშრომებში პროფესორმა გ. გოზალიშვილმა ღრმად განიხილა ძველი ელინური სამყაროს, ბიზანტიის და საქართველოს ისტორიის მრავალი საკვანძო საკითხი და აღმოსავლეთის სხვადასხვა ასპექტის ჩვენებასა და გამომზეურებას დასდო დიდი ღვაწლი.

თავის ვრცელ ნაშრომში მითრიდატე ევპატორის შესახებ მეცნიერმა გვიჩვენა, რომ მითრიდატეს დროს რომის ექსპანსიის წინააღმდეგ მცირე აზიაში მებრძოლ ძალებს შორის მთავარ როლს ქართველი ტომები ასრულებდნენ. ამავე ნაშრომში ავტორმა განიხილა კაპადოკიელ-მოსხთა იგივეობისა და მათი ქართველურ სამყაროსთან კუთვნილების საკითხი, რომლის კვლევასაც მეცნიერებაში ხანგრძლივი ტრადიცია აქვს.

არაერთი შესანიშნავი გამოკვლევით გაამდიდრა გ. გოზალიშვილმა ქართული ბიზანტიოლოგია. მისი ნაშრომი „ბრძოლა ბიზანტიასა და ირანს შორის იბერია — ლაზიკისათვის მეექვსე საუკუნეში“ პირველი სადოქტორო დისერტაცია გახლდათ ბიზანტიის ისტორიაში, რომელშიც ნაჩვენებია, რომ იუსტინიანე დიდის ეპოქაში მსოფლიოს ორ დიდ სახელმწიფოს — ირანსა და ბიზანტიას შორის მიმდინარე ომების ძირითადი მიზანი იყო პოლიტიკურად და ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ქართული მიწების ხელში ჩაგდება.

თვალსაჩინო წვლილი შეიტანა გ. გოზალიშვილმა ბიზანტიური ეპოქის მატერიალური კულტურის ძეგლთა გამოვლენისა და შესწავლის საქმეში. ცნობილია, რომ, როცა 1930 წელს გამოჩენილმა მეცნიერებმა გ. ჩუბინაშვილმა და შ. ნუცუბიძემ საქართველოში ჩამოიყვანეს გერმანელი არქეოლოგი ალფონს შნაიდერი, რომელსაც სამეგრელოს ტერიტორიაზე სოფელ ნოქალაქევში არქეოლოგიური გათხრები უნდა ეწარმოებინა, ივანე ჯავახიშვილისა და გ. ჩუბინაშვილის რეკომენდაციით შნაიდერთან სამუშაოდ მიავლინეს გ. გოზალიშვილი. დაუღალავი შრომის შედეგად მათ რამდენიმე თვეში გამოავლინეს ბიზანტიური ეპოქის უმნიშვნელოვანესი ძეგლი.

ღვაწლმოსილი მეცნიერის კალამს ეკუთვნის მრავალი გამოკვლევა, რომლებშიც განხილულია ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემები, როგორიც არის სვანეთის საკითხი ბიზანტია-ირანის ურთიერთობაში იუსტინიანე დიდის ხანაში, ჯვაროსანთა IV ლაშქრობა და ბიზანტია, კომნენოსთა დინასტიის ეთნიკური წარმომავლობა და სხვ. გ. გოზალიშვილმა ახალი უმნიშვნელოვანესი დაკვირვებებით გაამდიდრა ისეთი აქტუალური პრობლემა, როგორიც არის გრიგოლ ბაკურიანისძის და პეტრიწონის მმათა კულტურულ-ეთნიკური საქმიანობა.

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გ. გოზალიშვილმა საქართველოს ისტორიის საკითხების დამუშავებაში. მან ჯერ კიდევ ჭაბუკობისას გამოსცა შესანიშნავი ძველი ქართული საისტორიო ძეგლი — დავით ულუს დროინდელი საეკლესიო კრების ძეგლისწერა. ასევე ქართული ისტორიოგრაფიის ოქროს ფონდს განეკუთვნება მის მიერ გამოცემული 1832 წლის შეთქმულების მასალების სამი ტომი. ცნობილია, რომ ამ კოლოსალური გამოცემის პირველი ტომი ივანე ჯავახიშვილის კონსულტაციით გამოქვეყნდა. მას მეცნიერი დიდ შეფასებას აძლევდა და XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის შესწავლას ანალოგიური გზით გულისხმობდა.

გიორგი გოზალიშვილი კვლავ ახალი მეცნიერული საკითხების ძიებით არის გატაცებული და გვწამს, რომ იგი მომავალშიც ღირსეულად წარმართავს თავის ენერგიას, ჩვენი ერის მდიდარი ისტორიის ახალი ფურცლების შესავსებად.

პროფესორი **ლ. სანიკიძე,**
პროფესორი **შ. ბადრიძე.**

## ინფორმაცია—80

### სტუმრად — ინდოელი პოეტი

**თბილისში** რამდენიმე დღე იმყოფებოდა სტუმრად ცნობილი ინდოელი პოეტი-მთარგმნელი მადან ლალ მადჰუ. იგი კარგა ხანია მოსკოვის გამომცემლობა „პროგრესში“ ეწევა ნაყოფიერ მუშაობას — ჰინდი ენაზე თარგმნის რუსი კლასიკოსებისა და საბჭოთა მწერლების ნაწარმოებებს. დღეს მადჰუ, რომელიც შესანიშნავად ფლობს რუსულ ენას, ასამდე ნათარგმნი წიგნის ავტორია. მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობის წყალობით ინდოელი მკითხველი გაეცნო ტოლსტოის, ჩეხოვის, ტურგენევის, ლერმონტოვის, გორკის, მაიაკოვსკის, მარშაკის, აიტმატოვისა და ჩვენი ქვეყნის სხვა მრავალ მწერალთა ნაწარმოებებს, ხოლო ორი წლის წინათ მოსკოვში გამოიცა მადჰუს მიერ თარგმნილი ირ. აბაშიძის ლექსების ციკლი „რუსთაველის ნაკვალევზე“.

თბილისში ყოფნისას ინდოელ მწერალს გულთბილი შეხვედრა მოუწყო მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ, სადაც პოეტმა მადჰუმ ჰინდი ენაზე წაიკითხა პოეტური თარგმანები და ქართველ მწერლებს ესაუბრა თავისი მთარგმნელობითი მუშაობის შესახებ. მადან ლალ მადჰუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი დიდი ხნის ოცნებაა ქართველი მწერლების დახმარებით ჰინდი ენაზე აამეტყველოს შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილება „ვეფხისტყაოსანი“.

**ნ. კენჭოშვილი.**

### ალო, თბილისი!

**თბილისთან** და რესპუბლიკის სხვა ქალაქებთან კოდით პირდაპირი სატელეფონო კავშირი დაამყარა რაიონულმა ცენტრმა თერჯოლამ. აქ მწყობრში ჩადგა კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი.

ზესტაფონის სახლთსაშენებელი კომბინატის მიერ აგებული კავშირგაბმულობის შენობის პირველ სართულზე განლაგდა გაზეთებისა და ჟურნალების გადარჩევის, ამანათების მიღების საამქრო, საოპერაციო დარბაზი, ტელეგრაფი, საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგური, მეორე სართულზეა ადმინისტრაცია და „სოიუზპეჩატის“ რაიონული სააგენტო, მესამე სართულზე კი ათასნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგური და რადიოკვანძი, რომლის საექსპლოატაციოდ გადაცემა მომავალ წელს არის დასახული. (საქინფორმი).

### პიანისტის აღიარება

„ეს ბრწყინვალე პიანისტია! ალექსანდრე თორაძის სახელი უნდა დავიმახსოვროთ! იშვიათად თუ შეხვდებით ჩაიკოვსკის პირველი კონცერტის ასეთ შემსრულებელს, რომლის დაკვრაც ესოდენ შთაგონებულად და შთამბეჭდავად, ასეთი ძალითა და ბუნებრიობით გამოირჩეოდეს, — წერდა გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“. „ალექსანდრე თორაძეს პირველიდან უკანასკნელ ტაქტამდე მსმენელნი სულგანაბულნი უსმენდნენ. პიანისტმა ისინი მოხიბლა არა მარტო ვირტუოზული დაკვრით, არამედ ნაზი პოეტურობითაც“, — ასეთია გაზეთ „ბერლინერ ცაიტუნგის“ რეცენზენტის აზრი. „ეს დიდებული შემსრულებელია!“ — აღნიშნავს გაზეთი „კულტურპოლიტიკი“. აი როგორ შეაფასეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაზეთებმა საერთაშორისო კონკურსებისა და საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატის ლექსო თორაძის ამასწინანდელი კონცერტები.

12 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ლექსო თორაძის სახელი აფიშებზე გამოჩნდა. ამ ხნის მანძილზე პიანისტი მომწიფდა როგორც ნამდვილი ხელოვანი, 1977 წელს კი მან გამარჯვება მოიპოვა პიანისტთა ვან კლიბერნის სახელობის მეხუთე საერთაშორისო კონკურსში.

ლექსო თორაძე აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას ეწევა, ხშირად არის საგასტროლოდ საზღვარგარეთ, საბჭოთა მუსიკის მგზნებარე პროპაგანდისტია. ამჟამად პიანისტი კონცერტებს მართავს იტალიაში, მონაწილეობს სსრ კავშირის კულტურის დღეებში. იტალიის შემდეგ საგასტროლოდ იუგოსლავიაში უნდა გაემგზავროს, სადაც თექვსმეტ კონცერტს გამართავს.

შემდეგ კი კვლავ ამერიკის შეერთებული შტატები, ქვეყანა, სადაც ქართველმა პიანისტმა მსოფლიო აღიარება მოიპოვა. ვან კლიბერნის სახელობის საერთაშორისო კონკურსის პრეზიდენტმა მოსკოვში ყოფნის დროს თორაძე ორი თვით მიიწვია საგასტროლოდ. ოკეანის გაღმა იგი შეასრულებს საქართველოს სახალხო არტისტის დავით თორაძის ნაწარმოებს „საფორტეპიანო კონცერტი ორკესტრთან ერთად“, რომელსაც კომპოზიტორი უძღვნის შვილს — ამ თხზულების პირველ შემსრულებელს.

**მ. გაბრიაძე,**
(საქინფორმის კორ.).

# შემოქმედი და ხუთწლედი



**საქართველოს** სსრ მხატვართა კავშირის თაოსნობით სამრეწველო თუ სასოფლო-სამეურნეო რაიონებში ტრადიციად დამკვიდრდა მხატვართა მოგზაურობა, რომელიც მიზნად ისახავს ხალხის შრომითი მიღწევებისა და ყოფა-ცხოვრების უფრო ახლო გაცნობას.

ამჯერად ქართველ მხატვართა ერთ-ერთი ჯგუფი ტყიბულს ეწვია. მათ დაათვალიერეს ჩვენი რესპუბლიკის ეს თვალსაჩინო სამრეწველო ცენტრი, შეხვდნენ მაღაროელებს.

მხატვრებმა თავიანთი მომავალი ნაწარმოებებისათვის გააკეთეს მრავალი ჩანახატი, რომლებიც შემდგომში მათი შთაბეჭდილებებისა და გამოცდილების წყალობით მხატვრულ ტილოებად გადაიქცევა და დაამშვენებს რესპუბლიკურ და საკავშირო სამხატვრო გამოფენებს „ჩვენ ვაშენებთ კომუნიზმს“.

საქართველოს დამსახურებულმა მხატვარმა ნ. შალიკაშვილმა ჩახატა მაღაროები, გვირაბები, ქვანახშირის გადაზიდვა, საბაგირო გზები და ტყიბულის შემოდგომა.

მხატვრები მ. თუშმალიშვილი, თ. გუგეშაშვილი და ა. ქუთათელაძე დაინტერესდნენ ქვანახშირის გადაზიდვის პროცესებით, ლენინისა და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროების გვირაბებით და გააკეთეს კიდეც ამ ობიექტების ჩანახატები.

რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა ნ. ფალავანდიშვილმა და ც. შანშიაშვილმა შექმნეს მოწინავე მაღაროელების ლ. გაბელაშვილის, (ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს ბრიგადირი), გვირაბგამყვანების ე. გელაშვილის, ა. ყაზაიშვილისა და ფ. მესხორაძის პორტრეტები.

ს. ორჯონიკიძის სახელობის შახტის მოწინავე მუშები ა. ბოჭორიშვილი და ო. ფრუიძე მხატვარ დ. დავითაშვილის ნაწარმოებთა გმირები არიან.



დაგროვილი მასალა საშუალებას მისცემს მხატვრებს პერსონალურ, ჯგუფურ და საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო რესპუბლიკურ გამოფენებზე წარმოადგინონ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი თემატური ტილოები, პორტრეტები, ჟანრული სურათები, პეიზაჟები თუ ნატურმორტები.

**ლ. გიორგობიანი,**
საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის შემოქმედებითი სექციების გამგე.

**სურათებზე:** „მაღაროელის პორტრეტი“ (მხატვარი — დ. დავითაშვილი); „ტყიბულის ერთ-ერთი კუთხე“ (მხატვარი — მ. თუშმალიშვილი).

## ს პ ო რ ტ ი

# ბოლო აკორდი

**გუშინ** გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ბოლო, ოცდამეთოთხმეტე ტურის მატჩები. შედეგები ასეთია: „ყუბანი“-„არარატი“ — 3:2, ცსკა-კიევის „დინამო“ — 2:2, „ლოკომოტივი“-„შახტიორი“ — 1:1, ასკ-„კარპატი“ — 2:0, „ზენიტი“-„ყაირათი“ — 1:0, „სპარტაკი“-„ჩერნომორეცი“ — 2:4, მინსკის „დინამო“-თბილისის „დინამო“ — 2:1.

შეხვედრის მერვე და მეცამეტე წუთებზე გაბელიას კარში ბოროვსკისა და ვასილევსკის მიერ გატანილმა ბურთებმა თბილისელებს ფარ-ხმალი დააყრევინესო, ვერავინ იტყვის. სტუმრებმა მინსკელ თანაკლუბელებთან მატჩში თავდაუზოგავად იბრძოლეს, მაგრამ მხოლოდ ერთი ბურთის გაქვითვა შეძლეს. თუმცა, ჰქონდათ არაერთი შესაძლებლობა იმისა, რომ არა თუ გაეწონასწორებინათ მდგომარეობა, არამედ დაწინაურებულიყვნენ კიდეც. უჭირდათ მინსკელებს საკუთარი კარის მისადგომებთან თამაში, ხშირად აკრძალულ ილეთებსაც მიმართავდნენ (გაიხსენეთ როგორ ჩამოახიეს უკვე კარის მისადგომებთან კიპიანს პირადი...) არა. მოედნის ცენტრში მაისური ყიფიანს), მაგრამ სასწორის პინა მაინც მათ სასარგებლოდ გადაიხარა. თბილისელებმა ერთადერთი ბურთი 33-ე წუთზე გაიტანეს.

თბილისელები შარშანდელივით წლეულსაც მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდნენ. რაც შეეხება მაჟორულ განწყობილებას, იგი პირველ რიგში პრიზიორებს აქვთ — კიევის „დინამოს“, „სპარტაკს“ და „ზენიტს“, რომლებმაც სწორედ ასეთი თანმიმდევრობით გაინაწილეს ადგილები.

ფეხბურთელთა წლევანდელი ჩემპიონატი უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა. განვლილი სეზონის შესახებ მომავალში სათანადო საუბარი გაიმართება, ახლა კი გადავხედოთ გათამაშების საბოლოო ცხრილს:

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კ) | 21 | 9 | 4 | 63-23 | 51 |
| „სპარტაკი“ | 18 | 9 | 7 | 49-26 | 45 |
| „ზენიტი“ | 16 | 10 | 8 | 51-42 | 42 |
| „დინამო“ (თბ) | 16 | 7 | 11 | 51-32 | 39 |
| ცსკა | 13 | 12 | 9 | 36-32 | 36 |
| „შახტიორი“ | 13 | 9 | 12 | 45-40 | 35 |
| „ჩერნომორეცი“ | 13 | 9 | 12 | 37-37 | 35 |
| ასკ | 11 | 10 | 13 | 41-47 | 32 |
| „არარატი“ | 11 | 11 | 12 | 39-43 | 32 |
| „დინამო“ (მნ) | 11 | 12 | 11 | 41-42 | 32 |
| „ტორპედო“ | 10 | 11 | 13 | 28-32 | 30 |
| „ყაირათი“ | 10 | 11 | 13 | 33-44 | 30 |
| „ნეფთჩი“ | 10 | 9 | 15 | 29-41 | 29 |
| „დინამო“ (მ) | 9 | 14 | 11 | 32-33 | 28 |
| „ყუბანი“ | 9 | 10 | 15 | 32-43 | 28 |
| „ფახთაქორი“ | 9 | 8 | 17 | 26-43 | 26 |
| „კარპატი“ | 9 | 8 | 17 | 23-46 | 26 |
| „ლოკომოტივი“ | 8 | 9 | 17 | 34-44 | 25 |

### იგებდნენ, მაგრამ...

**დღეს** მოსკოვში მთავრდება უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი, გუშინდელი მატჩების შედეგები კი ასეთია: სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბი-კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდი (ბაქო) — 9:10, მოსკოვის „დინამო“-მოსკოვის უნივერსიტეტი — 8:8, თბილისის „დინამო“-ალმა-ათის „დინამო“ — 5:6. აღსანიშნავია, რომ თბილისელები თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში დაწინაურებული იყვნენ. ბოლო, მეოთხე პერიოდის დასაწყისისათვის ანგარიში იყო 5:3, მაგრამ ალმაათელებმა არათუ მდგომარეობის გათანაბრება შეძლეს, არამედ გამარჯვებაც მოიპოვეს.

### სამი და დაამარცხეს

**მალტის** დედაქალაქ ვალეტაში გრძელდება მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა. მეორე ტურში ინდოეთის ნაკრებთან სსრ კავშირის ქალთა გუნდმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: მაია ჩიბურდანიძე, ნანა ალექსანდრია და ნანა იოსელიანი. მათი მეტოქეები იყვნენ დები კალდიკარები. თავდაპირველად იოსელიანმა გაიმარჯვა ერთ-ერთ კალდიკართან, შემდეგ კი დამარცხებულს ორივე დამ „მიბაძა“ და საბჭოთა ნაკრებმა ისევე როგორც ფინელებთან კვლავ „მშრალი“ ანგარიშით (3:0) იზეიმა გამარჯვება.

მეორე ტურში სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრების მეტოქე იყო საბერძნეთის გუნდი. ე. გელერმა დაამარცხა სკალკოტასი, გ. კასპაროვმა — ნატსისი. ლ. პოლუგაევსკი დაუზავდა სკრემბისს. ბალაშოვ-პუნცასის პარტია ორჯერ გადაიდო. ამ პარტიის დამთავრებამდე საბჭოთა ნაკრები წინ იყო ანგარიშით 2,5:0,5.

## ეს საინტერესოა

### საათი სიურპრიზით

**მოულოდნელად** გაისმა ზუსტი დროის სიგნალები, და გამოფენის დამთვალიერებლებმა უნებლიედ დახედეს თავიანთ საათებს. ხმას გამოსცემდა ხელისგულის ოდენა პატარა ლითონის კოლოფი. ეს იყო ელექტრონული საათი ბგერითი ინფორმაციით ბრმებისათვის. საათი შექმნა ქუთაისელმა ინჟინერმა ე. შალამბერიძემ. პირველი ღილაკის თითის დაჭერით ბგერითი სიგნალი აცხადებს საათს, მეორისა — წუთებს, მესამისა — წამებს. ასეთი უჩვეულო საათი ექსპონირებული იყო საქართველოს სსრ დოსააფის რადიომოყვარულ კონსტრუქტორთა შემოქმედების რესპუბლიკურ გამოფენაზე, რომელიც მოეწყო თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურში.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია აგრეთვე 35 წლის სტაჟის მქონე რადიომოყვარულის იმხოიის მიერ შექმნილმა ელექტროსაკრავმა მოწყობილობამ. საკრავზე დადგმული იყო ათი ფირფიტა. ერთის დამთავრების შემდეგ დისკოზე იდებოდა მეორე. ამგვარად, რეპერტუარის წინასწარ „დაპროგრამების“ შემთხვევაში საჭირო აღარ არის ფირფიტის შეცვლა.

კიდევ ერთი ხელსაწყოა რეგლამენტატორი „ენდელა-80“. იგი შექმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს თანამშრომელმა ე. ვეპაროვმა. იგი ძალზე საჭიროა ზოგიერთი მომხსენებლისათვის, რომელიც ტრიბუნაზე დროის შეგრძნებას კარგავს. ხელსაწყოს შუქტაბლო ზუსტად აღნიშნავს — „თქვენი დრო ამოიწურა“. რეგლამენტატორის ორ ნიმუშს უკვე იყენებენ თბილისის დაწესებულებებში.

18 ექსპონატი დაჯილდოვდა სსრ კავშირის დოსააფის ცენტრალური კომიტეტის დიპლომებით და რეკომენდებულია მოსკოვის საკავშირო გამოფენაზე ჩვენებისათვის, რომელიც 1981 წლის აგვისტოში გაიხსნება.

### აეროდრომებზე არ დასხდებიან

**თბილისიდან** ინგლისში გაგზავნა ოცდახუთ ათასზე მეტი „ტუ-154“ მოდელის თვითმფრინავი, მაგრამ ისინი დაუშვენენ არა სამხედრო თუ სამოქალაქო აეროდრომებზე, არამედ სახავაშვო მაღაზიების დახლებზე. ეს თვითმფრინავები თბილისის სათამაშოების საწარმოო გაერთიანება „სიხარულმა“ დაამზადა.

გაერთიანება ყოველწლიურად უშვებს სამოცზე მეტი დასახელების პროდუქციას — [illegible] ელარუნებით [illegible] და თვითმფრინავებისა და აფრიანი გემების რთული მოდელებით [illegible] დამთავრებული. ეს მოდელები მსოფლიოს ცხრა ქვეყანაში იგზავნება. (საქინფორმი).

### „მაღლამსვლელი“ მუხა

**გუმისთის** ნაკრძალის თანამშრომლებმა ზღვის დონიდან 1600 მეტრ ნიშნულზე და უფრო მაღლა ჩუმკუზბის მთის დასავლეთ განშტოებაზე აღმოაჩინეს ჯუჯა ხეების ჯგუფი, რომლებიც ძალიან გვანან წაბლს.

მაგრამ ოდითგანვე ცნობილია, რომ წაბლის ტყე ჩვეულებრივ ზღვის დონიდან ათას მეტრამდე სიმაღლეზე იზრდება და მხოლოდ ცალკეული ეგზემპლარები თუ შეგვხვდება ხთას ხუთას მეტრ სიმაღლეზე.

ნუთუ აღმოჩენაა? დიახ, დაადასტურეს მეცნიერებმა, აღმოჩენაა, ოღონდ რამდენადმე სხვა სახისა. ეს წაბლი კი არა, პონტოური მუხაა. მეცნიერებისთვის სიახლეა მისი არსებობა ბზიფის ქედის სამხრეთ ფერდობებზე.

სპეციალისტთა წინადადებით ჩუმკუზბაზე პონტოური მუხის კორომი ბუნების ძეგლად გამოცხადდა. მცირე კავკასიონის მთებში იგი შეტანილია კინტრიშის ნაკრძალში, თვით ხე კი ბუნების „წითელ წიგნში“.

**ვ. ცეკვავა,**
(საქინფორმის კორ.).

# 22 დღე უსიერ ტყეში

ეს მოხდა თექვსმეტი წლის წინათ. ათი წლის ბიჭს ტყეში გზა აებნა: მთაში დედასთან მიმავალმა გზა ვერ გაიგნო და ულრანში მარტოდმარტო აღმოჩნდა. ამაოდ დაეძებდა გამოსავალს. რაც უფრო შორს მიდიოდა, მით უფრო შორდებოდა მთის სანუკვარ ბილიკს, ბუნების სტიქიისა და ნადირის პირისპირ დარჩა უმწეო, უქმელ-უსმელი პატარა ბიჭი.

ხეტიალში გავიდა ოცდაორი დღე. პატარა ალიკო მადოიშვილი სულით არ დაეცა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ დაეძებდნენ. ან უცხო იპოვიდა ან ძმა და მამა.

მართლაც, ოცდაორი დღის შემდეგ იპოვეს კლდის პირას დავარდნილი, დასუსტებული ბიჭი. ალიკო დიდი ზრუნვით წაიყვანეს საავადმყოფოში და სიკვდილს გამოჰგლიჯეს.

მაშინ ეს ამბავი ყველას პირზე ეკერა. რადიოთი გადასცემდნენ, უჩვენებდნენ ტელევიზიით, იბეჭდებოდა გაზეთებში... „კომუნისტის“ 1964 წლის 7 აგვისტოს ნომერში წერილთან ერთად მისი სურათიც გამოქვეყნდა.

სასწაულით გადარჩენილი ბიჭის ბედით დაინტერესდა მწერალი აკაკი გელოვანი, რომელმაც გაიცნო ბიჭი, მისი ოჯახი, გამართა ალიკოსთან მიმოწერა და შექმნა მოთხრობა „ყმაწვილი და სიკვდილი“, რომელიც ახლახან გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ“ გამოსცა.

მე წილად მხვდა წიგნის რედაქტორობა და მუშაობის პროცესში თუ გამოცემის შემდეგაც რაღაც დაუჯერებლად მეჩვენებოდა, მწერლის ფანტაზიის ნაყოფად მესახებოდა ბიჭუნას ესოდენი ვაჟკაცობა. ეს ეჭვი გამიბათილა წერილმა, რომელიც ახლახან გამომცემლობაში მივიღეთ.

ბარათის ავტორია წიგნის მთავარი მოქმედი გმირი. აი, რას გვწერს იგი:

„გეხმაურებით ალიკო მადოიშვილი, რომლის ამბავიც მოთხრობად აქცია აკაკი გელოვანმა. დიდად მადლობელი ვარ, რომ მწერალმა დაიწყება არ მისცა 16 წლის წინათ მომხდარი და ჩემთვის მწარედ გასახსენებელი ამბავი. [illegible] მედპერსონალს, კერძოდ რატი ღლონტსა და ელენე დეიდას (გვარი აღარ მახსოვს), რომელთაც სიცოცხლე შემინარჩუნეს. მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც იმ უსიერ ტყეში დამეძებდა და გადამარჩინა. მე უკვე 26 წლისა ვარ, ვცხოვრობ ქობულეთის რაიონის სოფელ კვირიკეში. მყავს მეუღლე და პატარა ქალიშვილი ნატო... ვმუშაობ კოლმეურნეობაში“.

წინსვლას და გამარჯვებას გისურვებთ, ალიკო!

**გ. მოისწრაფიშვილი.**

### ბუნების საოცრებანი



# უკომპასოდ მოგზაურობა

**თითოეულმა** ჩვენგანმა კარგად იცნობს ფრთოსანთა საგაზაფხულო და საშემოდგომო გადაფრენას. გული სიხარულით გვევსება ხოლმე, როცა მშობლიურ ადგილებს უბრუნდებიან მერცხლები, შოშიები და სხვა მგალობელი ფრინველები — გაზაფხულის ეს კოხტა ორაკულები.

„ფრინველთა გადაფრენის“ ცნება ისევე ძველია, როგორც თვით ორნითოლოგია — მეცნიერება ფრინველების შესახებ. იგი მოხსენიებული აქვს ჯერ კიდევ არისტოტელეს თავის „ცხოველთა ისტორიაში“, ოთხასი წლით გვიან კი რომაელ მწერალს პლინიუსს — „ბუნების ისტორიაში“.

მიგრაცია სახეობის არსებობისათვის უაღრესად აუცილებელ ბიოლოგიურ შეგუებულობათა რიცხვს მიეკუთვნება. მისი საშუალებით ცხოველები თავს აღწევენ არახელსაყრელ პირობებს, რაც სეზონური ან სხვა მიზეზების გამო წარმოიქმნება ხოლმე ბუნებაში. მიგრაცია ამჟამად დადგენილია ცხოველთა სამყაროს სრულიად სხვადასხვა წარმომადგენლებში: მწერებში, თევზებში, ფრინველებსა და ძუძუმწოვრებში.

სამივე სფეროში ცხოველთა მიგრაციის შესწავლა ხდება არამარტო უშუალო დაკვირვებებით, არამედ ცხოველთა ნიშანდებით, კერძოდ დარგოლვით.

როგორც ითქვა, ფრთოსანთა ერთი ნაწილის შემოდგომით გაქრობასა და გაზაფხულზე კვლავ გამოჩენას ადამიანებმა ძალიან დიდი ხანია მიაქციეს ყურადღება. მაგრამ, აბა, ვინ იფიქრებდა, რომ პაწია მგალობელ ფრინველებს ათასკილომეტრიანი სივრცის გადაფრენა შეეძლოთ?

ამჟამად ფრინველთა მიგრაციის თანამედროვე ტექნიკითა და მეთოდებით შესწავლამ ცხადი გახადა მათი ფრენის ჭერი, მანძილი და ა. შ. ფრთოსანთა უმეტესობა ფრენს დღისით 30-300 მეტრ სიმაღლეზე, ზოგიერთები კი გაცილებით მაღლა — ხუთ და მეტ კილომეტრზე: მფრინავები ბატებსა და სვავებს ექვსნახევარ კილომეტრ სიმაღლეზეც კი შეხვედრიან. სიმაღლეზე ფრენის თავისებური რეკორდი ეკუთვნით ბატებს. 1931 წელს ჰარისონმა ეს ფრინველები ჰიმალაის თავზე, ცხრა კილომეტრ სიმაღლეზე გადაიღო.

პატარა ფრთოსნებს, რომლებიც ჩვეულებრივ 250 მეტრ სიმაღლეზე დაფრენენ, ადამიანი ვერ ხედავს, ისინი კი საკმაოდ მრავლად ფრენენ. ზურგის ქარის შემთხვევაში ფრინველები ძალიან მაღლა ფრენენ, შემხვედრი ქარისას — დაბლა.

სხვადასხვა სახეობის ფრინველი სხვადასხვა სიჩქარით ფრენს. ზოგნი საათში საშუალოდ 25-30 კილომეტრ სიჩქარეს ანვითარებენ, ნამგალები კი — 100 კილომეტრს. დიდი ფრინველები პატარებზე სწრაფად როდი ფრენენ. მაგალითად, ქორი სულ 41 კილომეტრი სიჩქარით ფრენს, ყვავი — 50-ით, სკვინჩა — 52-ით, ნისკარტმარწუხა — 60-ით, შოშია კი 74 კილომეტრით და ა. შ.

კარგი ამინდის შემთხვევაში ფრინველები ღამითაც სიამოვნებით ფრენენ. გადაფრენა ამ დროს 500-დან 4500 მეტრამდე ხდება. მსხვილი ფრინველები პატარებზე დაბლა მოგზაურობენ.

ჩვეულებრივ ფრენა ორ-სამ ან სამ-ოთხ თვეს გრძელდება. ღია ზღვაში ბევრი ფრინველი იძულებულია შეუსვენებლივ 3000-5000 კილომეტრი იფრინოს!

არანაკლებ განსაცვიფრებელია ფრინველთა გადაფრენები უდაბნოებზე. ერთი შეხედვით ისეთი უზარმაზარი და მკაცრი დაბრკოლება, როგორიც, ვთქვათ, საჰარის უდაბნოა, დაუძლეველ ბარიერს უნდა წარმოადგენდეს ფრთოსნებისათვის, მაგრამ, წარმოიდგინეთ, რომ მიწის ამ გავარვარებულ სივრცეს ყოველწლიურად მილიონობით ფრინველი გადასერავს ხოლმე.

რად სჭირდება ადამიანს ფრინველთა მიგრაციის შესწავლა? ყველაფერი ეს კეთდება იმისათვის, რომ დავადგინოთ როგორ ირჩევენ ფრთოსნები მიმართულებას, რა ეხმარება მათ დასახული კურსით სწორად ფრენაში, როგორ ცნობენ მშობლიურ ადგილებს. რატომ ხდება, რომ ფრენის მაღალი სიჩქარის შემთხვევაშიც ბევრი ფრინველი თვეების განმავლობაში მოგზაურობს, როცა ამ მანძილის გადალახვა შეიძლებოდა სულ ორ კვირაში, სადა აქვთ პატარა ჩიტებს იმის ძალა, რომ ზღვის უზარმაზარი სივრცეები გადალახონ, როგორ ეხმარებათ მათ მზე, ვარსკვლავები, ქარი, და სხვა. ეს საკითხები ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის შესწავლილი.

უფრო მეტიც — ამოუხსნელი რჩება მიგრაციის თვით წარმოშობის კონკრეტული მიზეზებიც. თუ რა შედეგებს მოგვცემს ყველა ამ საიდუმლოების ამოხსნა, ჯერჯერობით ჩვენს ფანტაზიასაც კი აღემატება. არადა, ვინ იცის, რამდენ სარგებლობას მოუტანს იგი ადამიანს.

ცხოველთა მიგრაციის სათანადო ცოდნას მნიშვნელობა აქვს პრაქტიკული, ადამიანის სამეურნეო ინტერესის თვალსაზრისითაც. კერძოდ, მიგრაცია გავლენას ახდენს ნადირ-ფრინველის რიცხობრიობის დინამიკაზე, რაც უშუალო კავშირშია რიგი ქვეყნების ცხოველთა სამყაროს სარეწაო ინტერესებთან. წყლისა და ხმელეთის ზოგიერთ ცხოველთა მსოფლიო რესურსების რაციონალური გამოყენების მიზნით, საჭიროა მათი მიგრაციის ბუნების ცოდნაც. მაგალითად, ჩრდილოეთის ირმის მიგრაციის შესწავლამ მეცნიერებას უჩვენა, რომ მხოლოდ ტაიმირზე, ერთი კუთხიდან მეორეში, ყოველწლიურად ამ ირმის — კარიბუს დაახლოებით 350 ათასი სული გადასახლდება ხოლმე. ასევე მასობრივია საიგას მიგრაცია ყაზახეთსა და შუა აზიაში და ა. შ.

**არნ. ბეგეჯკორი.**

# იშვიათი კოლექცია

**ალბათ,** ბევრმა არ იცის, რომ რიგაში არსებობს ანტიკვარული ავტომობილების კლუბი, რომლის კოლექციაში იშვიათ ეგზემპლარებს წააწყდება კაცი. ახლა კლუბს 145 ასეთი ავტომობილი აქვს (მათგან 15 კლუბის პირადი კუთვნილებაა, დანარჩენი კი კლუბის წევრებისა), რომელთა შორის არის ისეთი უნიკალური მოდელებიც, რომლებიც დღეს ერთადერთია მსოფლიოში. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება 1936 წელს „ავტო-უნიონის“ სერიით გამოშვებული ერთ-ერთი ეგზემპლარი, აგრეთვე „რუსო-ბალტი“ (1912 წ.) და სპორტული ავტომობილი „ბილე-მიგლია“.

თვრამეტი წლის წინათ რიგაში შემთხვევით არ ჩამოყალიბდა ეს კლუბი. საქმე ის გახლავთ, რომ 1909 წელს სწორედ აქ, „რუსეთ-ბალტიის სავაგონო ქარხანაში“ დაიწყეს პირველად სამამულო ავტომობილების სერიული დამზადება, რომლებიც შემდეგ საზღვარგარეთულ მანქანებს უწევდა კონკურენციას.

რამდენიმე წლის წინათ რიგიდან 120 კილომეტრით დაცილებულ დაბა რაუნაში კლუბის წევრებმა აღმოაჩინეს თავისებური განძი — ავტომობილი „რუსო-ბალტი“, უფრო სწორედ, მისი ჩონჩხი. ცნობილია, რომ ამ მანქანის ერთადერთი ეგზემპლარი, და ისიც სატრანსპორტო სახეობისა, მსოფლიოში მხოლოდ ერთი იყო და მოსკოვის პოლიტექნიკურ მუზეუმში ინახებოდა. და აი, ახლა „რუსო-ბალტის“ მეორე ეგზემპლარი 80 წლის მეხანძრის იან მეჟაპანსის სარდაფში აღმოჩნდა. როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს მანქანა 1912 წელს დაუმზადებიათ რიგის მეხანძრეთა საზოგადოების შეკვეთით და მას მეჟაპანსის მამა მართავდა.

წელიწად-ნახევარი დასჭირდათ ავტორესტავრატორებს ვ. კლინტსა და ე. ქვიგულისს, რომ „რუსო-ბალტისათვის“ პირვანდელი სახე დაებრუნებინათ. ახლა მანქანა ცინცხალივით ბზინავს და საათში 70 კილომეტრი სიჩქარის განვითარება შეუძლია.

ასევე საყურადღებოა რიგელი ენთუზიასტების მიერ აღდგენილი „იაგურ სს-100“, რამდენიმე „მერსედეს-ბენცი“, მოტოციკლები „ვიქტორია-350“ (1938 წელს გამოშვებული) და „მატჩეს-სილვერ-ჰაკი“, რომლებსაც დღეს მრავალ გამოფენაზე ეპატიჟებიან.

რიგის ანტიკვარული ავტომობილების კლუბის თავმჯდომარე ინჟინერი ვიქტორ კულბერგი ამბობს: „ჩვენი მთავარი სამომავლო ამოცანაა ანტიკვარული ავტომობილების მუზეუმის შექმნა, ამჟამად კი ტალინის კლუბის „უნიკის“ კოლეგებთან ერთად ძველი ტექნიკის დიდი გამოფენის მოწყობაზე ვმუშაობთ“.

რედაქტორი
**ბ. ბედინეიშვილი.**

## ტელევიზია

### 23 ნოემბერი

**პირველი პროგრამით:** 09.00 „ვრემია“ (მ.), 09.50 — მულტიპლიკაციური ფილმი „ჩიგუნია ტარი“, 10.00 — შევისწავლოთ რუსული ენა. 10.30 — კინომოზაიკა, 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები, 11.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ურალის მყინვარები“, 12.00 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 12.45 — ტელეკურსელთათვის ქართული ენა და ლიტერატურა. სტუდიაშია დოცენტი რ. ენუქაშვილი, 13.15 — „კინოაფიშა“, 13.40 — „ჩვიდმეტი ძირითადი“, „დაიბადა ამ წლებში“, 14.10 — მოსწავლეთათვის — „წყაროსთვალი“, სატელევიზიო ჟურნალი, 14.55 — „ვესტნიკი“, 15.25 — „კინოს სამყაროში“. სტუდენტ კინემატოგრაფისტთა ფესტივალი (30 ოქტომბრის გადაცემის განმეორება), 16.25 — „კავკასიის ცისთვის“, 17.00 — „მუსიკალური ფოსტა“, 17.45 — „კინომოგზაურობის კლუბი“ (მ.), 18.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სახალინის აკვარელი“, 19.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (მ.), 19.45 — „კინოს მოყვარულთათვის“, 21.00 — „მოამბე“. 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — სპორტული პროგრამა: 1. საფეხბურთო მიმოხილვა. 2. მხატვრული ტანვარჯიში ინტერვეზიის თასზე. გადმოცემა სოფიიდან (მ.).

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, ქ. ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭო, თერაპევტთა და კარდიოლოგთა რესპუბლიკური სამეცნიერო საზოგადოებების გამგეობები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, ქ. ქუთაისის მთავარი თერაპევტი

**ვლადიმერ (კაკო) ალექსანდრეს ძე ბურჯანაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სურათებზე:** კანადის ქალაქ ვინძორში გოგრების შეჯიბრებაზე გაიმარჯვა იმ ფერმერმა, რომელმაც 110 კილოგრამიანი გოგრა წარმოადგინა (მარცხნივ); დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მოდაში შემოდის ჩინელებისა და იაპონელების მიერ გამოყვანილი ჯუჯა ხეები. მაგალითად, ასეთი ასწლოვანი ფიჭვი სულ „რაღაც“ 100 ათასი მარკა ღირს (შუაში); ესპანეთში აღმოჩენილმა ორთავიანმა გველმა, რომელსაც კუდის ადგილასაც თავი აბია, მეცნიერთა დიდი ინტერესი გამოიწვია. საკდესის ფოტოქრონიკა.







КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 10389 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში. ხოშარაულის 29.